140
1959/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

4
აპრილი
1959



ვ. ი. ლენინი ტრიბუნაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საგავშვო
ჟურნალი

4

აპრილი

1959

გამოცემის წელი
XXXIII

7727

## შინაარსი

გვ.
ლექსები ლენინზე . . . . . . . . 2
ე. შევარდნაძე — სახელოვანი 40 წლისთავი . . 3
ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი — თექის ჩექმები (მოთხრობა, თარგმნეს ე. კვანჭილაშვილმა და ვ. ძნელაძემ) . . . . . . . . . 4
150 წელი ნ. ვ. გოგოლის დაბადებიდან . . . . 6
რ. იაშვილი, ნ. თარგამაძე — რეპორტაჟი პიონერული კომბინატიდან (ნარკვევი) . . . . . 7
გ. ბორიანი — უკუღმართი ბიჭუნა (ლექსი, თარგმნა სომხურიდან დ. გაჩეჩილაძემ) . . . . . 9
ლ. მრელაშვილი — სახარე მოწვრები (მოთხრობა) 10
ი. ცერცვაძე — ვაშენებთ პიონერულ ქალაქს (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . 16
ვ. ორჯონიკიძე — საათი (მოთხრობა) . . . . . 18
ა. სვანი — აპრილი (ლექსი) . . . . . . . . 21
შ. სამადაშვილი — მონუმენტთან (ლექსი) . . . . 21
ე. კორდონი — ტორიბიოს თავგადასავალი (მოთხრობა, ესპანურიდან თარგმნა ბ. მირცხულავამ) 22
შურიანი და გულკეთილი — ყირგიზული ზღაპარი (თარგმნა ნ. თოფჩიშვილმა) . . . . . . 26
იცი თუ არა შენ? . . . . . . . . . . . 27
ბუნების კარი . . . . . . . . . . . . 27
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . . 28
რატომ ვამბობთ ასე . . . . . . . . . . 28
ვ. სიდამონიძე — გამოჩენილ ადამიანებზე (წერილი) 29
ვიშ, ვხედავ, ვხედავ! — ფრანგული ხალხური ლექსი (თარგმნა დ. ცაგარელმა) . . . . . . . 29
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . . 30
ვ. კახაძე — ქართული ხალხური სათამაშოები . . 31
გასართობი . . . . . . . . . . . . . . 32











გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის რ. ცუცქირიძეს; გარეკანის მეორე გვერდზე „ვ. ი. ლენინი ტრიბუნაზე“ რეპროდუქცია მხატვარ პ. ვასილევის სურათიდან; გარეკანის მესამე გვერდზე იუმორი; გარეკანის მეოთხე გვერდზე ახალი წიგნები.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: ნ. შალიკაშვილის, ზ. ლეჟავას, რ. ცუცქირიძისა და გ. ფოცხიშვილის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

ხაბლიტგამი

საქართველოს სსრ სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენს სიმღერებში ცოცხლობს ლენინი!

* * *

მახსოვს კრემლი ალსავსე
სწორუპოვარ ძალებით,
ფხიზლად იყურებოდა
თვით ლენინის თვალებით.
კაცობრიობისათვის
ახალი გზის ნათება
იყო დიდი ლენინის
ბრძოლა და თავდადება.

* * *

ხალხთ შენ არგუნე
ზავი და პური,
გლეხობას — მიწა,
ქარხნები - მუშებს,
ერებს ასწავლე
ცხოვრება ძმური
და გულთა წყლულიც
შენ დაუშუშე!

* * *

თუ გძინავს, — ჰლვიძავს შენს სახელს,
უფხიზლეს ქარიშხალისა,
თუ გძინავს, — ჰლვიძავს შენს საქმეს
უმხნეს მოქნეულ ხმალისა!

შენ ერთადერთმა არ იცი
სიკვდილი, კუბო, ლოდები,
შენ ხალხის გულის ფეთქვა ხარ,
არასდროს დაბოლოვდები.

* * *

ლენინის დროშამ გაუძლო დრო-ჟამს,
ხარობს ქვეყანა დოვლათით სავსე,
ლენინის დროშა,
ლენინის დროშა,
ლალად ფრიალებს მოსკოვის თავზე!

* * *

— მთის არწივია, — ლალი, მალალი,
ლაჟვარდ სივრციდან გადმოფრენილი, —
სთქვა და პირისპირ ჯერ უნახავი
თვალწინ დაუდგა კობას ლენინი.

* * *

ვფიცავთ: შენს დროშას ვატარებთ მაღლა,
დავეხმარებით შრომისგან დაღლილთ,
ლენინ! შენს თვალებს ჩვენ არ დავმარხავთ,
ლენინ! შენს შუბლზე მიწას არ დავყრით!

შენ მოკვდი, მაგრამ ჩვენთან იცხოვრებ,
ვფიცავთ შენივე აზრებს, ანდერძებს,
ჩვენთან იშრომებ, ჩვენთან იბრძოლებ
მთებში, ქარხნებში, ბარიკადებზე!

* * *

დღემდის ხსოვნაში მაქვს ჩარჩენილი:
ქვისგან ნაკვეთი ნაცნობი სახე,
მაშინ პირველად ვნახე ლენინი,
მაშინ თბილისიც პირველად ვნახე...

ზაჰესის შუქი ცად აფრენილი,
ეწერებოდა ჩემს გულის ფიცარს:
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# სახელოვანი 40 წლისთავი

ე. შევარდნაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

საქართველოს კომკავშირს 40 წლისთავი შეუსრულდა. ეს არის გამარჯვებათა და მიღწევათა სახელოვანი ორმოცი წელი. საკოლმეურნეო მოძრაობის გარიჟრაჟზე თუ პირველი ხუთწლედების ისტორიულ წლებში, დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველზე თუ ყაზახეთის ტრამალებში, მშვიდობიანი მშენებლობის ხარაჩოებზე — ყველგან ისახელეს თავი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებმა.

საქართველოს კომკავშირის 40 წლისთავს იმ დიად დღეებში აღვნიშნავთ, როდესაც პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი შვიდწლედის დიად მიზანდასახულობათა განხორციელებას შეუდგა.

ფართოდ გამოეხმაურა რა მოწოდებას «შვიდწლედი ხუთ წელიწადში!» ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობამ დასახა საბრძოლო ამოცანები, რათა თავისი თვალსაჩინო წვლილი შეიტანოს შვიდწლედის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებაში.

— თქვენ, ბავშვებო, კარგად იცით, რომ სულ ახლახან დაიბადა შესანიშნავი წამოწყება კომუნისტური შრომის ბრიგადების სახით. ათასობით და ათიათასობით ახალგაზრდა იბრძვის ამ ბრიგადის წევრის საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

ჩვენი ახალგაზრდობა უდიდეს წარმატებებს აღწევს როგორც ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე, ასევე მეცნიერებისა და კულტურის დარგში. მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ ასახელა ქართული ხელოვნება საზღვარგარეთაც. დიდია ახალგაზრდა სწავლულთა წარმატებანი მეცნიყრებასა და ტექნიკის დარგში.

მოპოვებული მიღწევები ახალი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს ახალგაზრდობას, რომლისთვისაც არ არსებოპს უფრო დიდი მიზანი, ვიდრე პარტიის დავალებათა ღირსეული შესრულება. საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები ყოველთვის იქნებიან იქ, სადაც მოუხმობს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, იქ, სადაც ყველაზე საჭიროა მჩქეფარე ახალგაზრდული ენერგიჲ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თექის ჩექმები

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი

ამ მოგონების ავტორი ძველი ბოლშევიკი ვლადიმერ დიმიტრის ძე ბონჩ-ბრუევიჩია. იგი თექვსმეტი წლისა იყო, როდესაც რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება. მუშაობდა იატაკქვეშეთში, თანამშრომლობდა ლენინურ გაზეთ „ისკრაში“, შემოჰქონდა რუსეთში არალეგალური პარტიული ლიტერატურა, საბეჭდი დაზგები და იარაღი. დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღეებში იგი პეტროგრადში იბრძოდა.

ბონჩ-ბრუევიჩი პირადად იცნობდა დიდ ბელადს—ლენინს, მასთან ერთად მუშაობდა მრავალ წელს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბონჩ-ბრუევიჩმა მრავალი მოგონება დაწერა დიდ ლენინზე. ვბეჭდავთ ერთ-ერთ მათგანს.

ლენინი გადასახლებული იყო და სასჯელს იხდიდა შორეული ციმბირის სოფელ შუშენსკოეში. ეს იყო იმ წლებში, როდესაც ჩვენი პარტია იქმნებოდა. იმისათვის, რომ გარს შემოეკრიბა საუკეთესო ადამიანები და შეექმნა პარტია, ვლადიმერ ილიას ძე გადასახლებაშიც ბევრს მუშაობდა. ამის შესახებ იგი წერდა სტატიებს. საჭირო იყო ამ სტატიების გადაგზავნა თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებისათვის, რომელთაც შეეძლოთ მათი მოთავსება არალეგალურ გაზეთში. მაგრამ როგორ?—ეს ხომ ადვილი საქმე არ იყო. დიდხანს ფიქრობდა ვლადიმერ ილიას ძე თუ როგორ აეხვია თვალი პოლიციისა და ჟანდარმებისათვის და ბოლოს გამოსავალიც ნახა. მან გადაწყვიტა სტატიები ჩექმის ძირებსა და ლანჩებს შუა ჩაეკერებინა და ასე გაეგზავნა ძველი რევოლუციონერი ქალის—ლიდია მიხეილის ასულ კნიპოვიჩისათვის, რომელიც ასტრახანში ცხოვრობდა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

კნიპოვიჩს რამდენიმე პარტიული სახელი ჰქონდა: „ბიძია“, „დედოვი“ და „ბებია“. იგი ჩვენს შორის მართლაც ყველაზე უფროსი იყო. ვლადიმერ ილიას ძე მას დიდად აფასებდა საქმისადმი ერთგულებისა და იმ შეუპოვრობისათვის, რომელსაც იგი მუდამ იჩენდა ყველაზე სახიფათო პარტიული დავალებების შესრულებისას. ვლადიმერ ილიას ძემ იცოდა, რომ „ბებია“ ყველაფერს მიხვდებოდა, სტატიებს ჩექმებიდან ამოიღებდა და გადასცემდა იმ ამხანაგებს, რომლებიც მათ დაბეჭდვას შესძლებდნენ.

გვიან, ამ ამბების შემდეგ, კნიპოვიჩი მიყვებოდა:

„გაზაფხულის ცხელი დღე იყო. ერთიც ვნახოთ, კარზე ფოსტალიონმა დამიკაკუნა და საამანათო უწყება გადმომცა. „ვისგან უნდა იყოს?“—გავიფიქრე მე. მოვემზადე და ფოსტაში გავიქეცი. უწყება წარვადგინე. რამდენიმე წუთის შემდეგ ამანათი გამომიტანეს. ვიღებ მას და ვხედავ—მინუსინსკიდანაა. გამომგზავნის გვარი ჩემთვის უცნობია. რა უცნაური შემთხვევაა?

სახლში ვბრუნდები, სასწრაფოდ ვხსნი ამანათს და ვიღებ ნახმარ, მაგრამ ჯერ კიდევ მაგარ თექის ჩექმებს. ჩექმაში აღმოჩნდა წერილი, რომელიც უცნობი ხელით იყო დაწერილი. წავიკითხე...“ — აქ კნიპოვიჩი დაწვრილებით მიყვება ვლადიმერ ილიას ძის წერილის შინაარსს:

-- „ძვირფასო ბებია, ჩვენ ძალზე გვაწუხებს, რომ თქვენ რევმატიზმით ხართ ავად. ამ შემთხვევაში ექიმები გვირჩევენ ფეხები ყოველთვის თბილად გვქონდეს. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ არა გაქვთ თბილი ფეხსაცმელი და ვშიშობთ არ გაცივდეთ. ზღვისა და ხშირი ნისლიანობის გამო ასტრახანში ჰაერი ნოტიოა, ამინდი კი სწრაფად ცვალებადი. ატარეთ, გეთაყვა, ეს თექის ჩექმები და თავს მოუარეთ, არ გაცივდეთ. ეს ჩექმები ჯერ კიდევ კარგია, თბილია, ორმაგი ძირი აქვს. ჩვენ აქ, ციმბირში, მუდამ ასეთებს ვატარებთ და ძალზე კმაყოფილნი ვართ. ჩვენ, მადლობა ღმერთს, ვცოცხლობთ, ჯანმრთელად ვართ, რასაც თქვენც გისურვებთ სულითა და გულით. თავს გიკრავთ და სალამს გითვლით ნადია. ის თქვენ ყოველთვის კეთილად გიგონებთ. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს“. შემდეგ ხელმოწერაა, რომლის გარჩევაც შეუძლებელია. მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს ამანათი ვლადიმერ ილიას ძისაგან იყო. „მაგრამ რატომ მაინცა და მაინც ჩექმები გამოგზავნა?“—ვფიქრობდი მე. ჩექმები გულდასმით გავსინჯე და გადავწყვიტე ძირი მომერღვია. ოთახი ჩავკეტე, კუთხეში მივდექი, რომ ფანჯრიდან არავის შევენიშნე,

და გულმოდგინედ შევუდექი ნაკერის გარღვევას. თექა გადმოვაბრუნე და უცებ თვალი მოვკარი თეთრი ქაღალდის კუთხეს. სასწრაფოდ ამოვიღე ჩექმიდან წვრილად დაწერილი თხელი ფურცლები. მაშინვე ვიცანი ვლადიმერ ილიას ძის ხელი. ეს იყო მისი სტატიები და წერილები რედაქციისადმი. აი, თურმე რატომ გამომიგზავნა ილიას ძემ თექის ჩექმები!..

სტატიები საიდუმლო ადგილას, იატაკქვეშ გადავმალე, თექის ჩექმებს კი ყოველდღე ვატარებდი.

— ამ ჩექმებს ექიმის რჩევით ვიცვამ, რომ ფეხები არ გამიცივდეს,—ვეუბნებოდი მეზობლებს. მალე, ჩემი მოხერხებით, სტატიები საიმედო ადამიანების ხელში იყო...“

უფრო გვიან, როდესაც ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული უჟენვაში იყვნენ, მე ვკითხე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, თუ ვლადიმერ ილიას ძემ თავისი სტატიები რატომ მაინცა და მაინც ასტრახანში, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ კნიპოვიჩს გაუგზავნა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ყოველივე ამიხსნა.

ვლადიმერ ილიას ძემ იცოდა, რომ კნიპოვიჩი ჭკვიანი და გამოცდილი კონსპირატორი იყო. ის დარწმუნებული იყო — კნიპოვიჩი მიხვდებოდა, რომ ამანათი საიდუმლოს ფარავდა. რაც შეეხება თექის ჩექმებს, ეს არავის არ გააკვირვებდა: კნიპოვიჩს მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდა რევმატიზმი, ეს სრულიად ბუნებრივი იყო. ადგილობრივ დაცვას, კიდეც რომ გაეგო რამე ამ ამანათის შესახებ, რა თქმა უნდა, აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ ვინმე გაბედავდა არალეგალური სტატიები გაეგზავნა იმ პირისათვის, რომელიც პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

ვლადიმერ ილიას ძემ თვითონ მიაკრა ჩექმებს თექის მეორე ძირი და შუაში თხელ ქაღალდზე დაწერილი სტატიები მოაქცია. როდესაც ყველაფერი უკვე მზად იყო, ამ ფურცლებს ველარავინ შეამჩნევდა.

თავისი ნამუშევრით ვლადიმერ ილიას ძე კმაყოფილი დარჩა. იგი ხუმრობდა კიდეც,— ასე შეიძლება ხარაზიც კი გავხდე და, თუ საქმე გაჭირდა, პურის ფულსაც ვიშოვით.

ყველაზე ძნელი მინუსინსკში ამანათის გაგზავნა აღმოჩნდა. ვლადიმერ ილიას ძემ თექის ჩექმები ტილოში შეფუთა და ზედ შეცვლილი ხელით მისამართი დააწერა. ჩავარდნის შემთხვევაში, საფრთხეში რომ არავინ მოხვედრილიყო, მან გამგზავნის მისამართი გამოიგონა. ამანათის გაგზავნისათვის ვლადიმერ ილიას ძეს მალე ხელსაყრელი შემთხვევაც მიეცა: შუშენსკოეში გზად გამოიარეს ვილაც ვაჭრებმა. ვლადიმერ ილიას ძემ მათ მეეტლე გლეხს სთხოვა რომელიმე მინუსინსკის მახლობელ ფოსტიდან ამანათი გაეგზავნა. მან მეეტლეს ათი მანეთი მისცა. მეეტლემ ჩექმები გამოართვა, კოფოში მოათავსა და დაჰპირდა, რომ საფოსტო ქვითარს უკან გამობრუნებისას მოუტანდა.

მალე ვაჭრები გზას გაუდგნენ. ვლადიმერ ილიას ძე განუწყვეტლივ ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ იყრიდნენ თავს ვაჭრები გამგზავრების წინ და, როდესაც ისინი წავიდნენ, მან დარწმუნებით განაცხადა, რომ ყველაფერი რიგზე იქნებაო.

— მეეტლე კარგი კაცი ჩანს, ალალ-მართალი,— თქვა მან.

ამ ამბის შემდეგ თითქმის ერთი კვირა იქნებოდა გასული, როცა ლენინის სახლის ფანჯარაზე ვილაცამ დააკაკუნა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა შალი მოიხურა და პარმაღზე გამოვიდა. მის წინ ნაცნობი მეეტლე იდგა.



ვ. ი. ლენინი და ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი კრემლის ეზოში.

— დიასახლისი თქვენ ბრძანდებით?—ჰკითხა მეეტლემ.—ოჯახის უფროსი სადღაა?

როგორც კი დაინახა ფანჯრიდან ვლადიმერ ილიას ძემ, რომ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ვიღაცა ელაპარაკებოდა, მაშინვე ისიც პარმაღზე გამოვიდა.

— აა, გამარჯობათ! — მხიარულად დაიძახა მეეტლემ.—აი, ინებეთ თქვენი ქვითარი და ხურდა.

— ქვითრისათვის მადლობელი ვარ, ხურდა კი საჭირო არაა, თქვენი გასამრჯელო იყოს, — უთხრა ვლადიმერ ილიას ძემ.

— რომელ გასამრჯელოზე მელაპარაკებით! — თქვა მეეტლემ.—განა ასეთ წვრილმანებზე ღირს ფულის აღება? ციმბირში ასე არაა მიღებული. ჩვენთან მეზობელი მეზობელს ეხმარება... ჩვენც ხომ, რაც არ უნდა იყოს, მეზობლები ვართ—ჩემი სოფელი აქედან სულ რაღაც ასოც ვერსზეა. მაშ ასე, ინებეთ თქვენი ხურდა...—და მან შვიდ მანეთზე ცოტა მეტი ამოიღო.

— ჩვენთან კი წესად არის მიღებული, რომ ბავშვებს საჩუქრები გავუგზავნოთ,—უპასუხა ვლადიმერ ილიას ძემ.—თქვენ ბავშვები გყავთ?

— რა თქმა უნდა, მყავს, მაშ როგორ, ხუთნი არიან. ზოგნი დარბიან, ზოგნი დედის კალთას ებღაუჭებიან, გვყავს სულ პატარაც—დედას რომ ხელში უჭირავს ისევ...

— ჰოდა, საუცხოოა. ეხლა კი შინ შემობრძანდით, ჩაი მიირთვით, მეც მალე მოვალ.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მეეტლე სახლში შეიწვია.

ვლადიმერ ილიას ძე მართლაც მალე დაბრუნდა და თან მრავალი საჩუქარი მოიტანა: დიასახლისისათვის—თავშალი, ერთი აცმა ბლითი, შაქარყინული, კიდევ ბევრნაირი ტკბილეული და ორი ანბანი.

— ეს თქვენი ოჯახისათვის. ჩემი სალამი და საჩუქრები გადაეცით თქვენს მეუღლესა და ბავშვებს, სულ პატარას კი აი ეს, — და მან ჯიბიდან ხის ორი შეღებილი თოჯინა ამოიღო.—ესეც მოზრდილებს,— ახლა მეორე ჯიბეში ჩაიყო ხელი და იქიდან სათამაშო ჯარისკაცები ამოალაგა. ამას ყველაზე უფროსებისათვის ანბანი მოაყოლა.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ეს საჩუქრები შეახვია, ბოხჩაში შეკრა და მეეტლეს გადასცა.

— უღრმესი მადლობა! მინდა თქვენი სახელი ვიცოდე.

— ვლადიმერ ილიას ძე.

მეეტლემ მდაბლად დაუკრა თავი და გავიდა.

საფოსტო ქვითარი მაშინვე ღუმელში შეაგდეს.

რამდენიმე თვის შემდეგ ვლადიმერ ილიას ძემ გაიგო, რომ „ბებია“ სიამოვნებით ატარებს „ერთძირიან“ თექის ჩექმებს.

თარგმნეს ე. კვანჭილაშვილმა და ვ. ძნელაძემ.





ეროვნული ბიბლიოთეკა



# უკვდავი გოგოლი

«გოგოლი კი არ წერს — ხატავს. სინამდვილის ცხოველმყოფელი ფერებით სუნთქავენ მისი სახეები. ვხედავთ იმ სახეებს, გვესმის მათი ხმა. ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა ზედმიწევნით ზუსტია. მწერალს აქვს აზრი და ამაოდ ეცდებოდით სხვა სიტყვით, სხვა ფრაზით გამოგეხატათ იგი. ეს კი სტილსა ნიშნავს, რაც დიდ მწერლებს აქვთ მხოლოდ».

ეს სიტყვები ბელინსკის ეკუთვნის. და მართლაც, რომელი ჩვენგანის გონებაში არ აღბეჭდილა გოგოლის წარუშლელი სახეები, ვის არ წაუკითხავს გენიალური მწერლის უკვდავი ქმნილებები, მისი «ტარას ბულბა» და «რევიზორი», მისი «შინელი» და «მკვდარი სულები». სიკეთის მომღერალმა და მანკიერებათა დაუძინებელმა მტერმა — გოგოლმა თვალწინ გადაგვიშალა მე-19 საუკუნის ყველა ჯურის სიმახინჯე და თავისი მძლავრი სატირით გაამათრახა იგი.

გაიარა საუკუნენახევარმა გოგოლის დაბადებიდან, მისი შემოქმედება კი კვლავ ბრწყინავს სახალხო სიყვარულით გარემოსილი. მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი გოგოლის ქმნილებანი. ვკითხულობთ ამ ქმნილებებს, ვიცინით ჯანსაღი სიცილით, ვმაღლდებით და ვიწმინდებით სულიერად. გავლენ საუკუნენი და, როგორც კარგად იყო თქმული, მომავლის დიდ წიგნთსაცავებსა და ბიბლიოთეკებში კვლავაც გაიმეორებენ სიტყვებს:

— მიბოძეთ გოგოლი!

# რეპორტაჟი პიონერული კომბინატიდან



— მეგობარო, მასესხე ცოტა საღებავი!

„შენს რაზმთან ერთად დაეხმარე უფროსებს მოსავლის აღებაში, მშენებლობაში ან საზოგადოებრივი შრომის სხვა სახეებში".

(ნორჩი პიონერის საფეხურებიდან)

**განიერ** ქუჩაზე ერთ-ერთი მაღალი შენობის წინ მწვანე სკვერს გაივლით და ამ შენობაში—თბილისის მეოთხე სკოლაში შეხვალთ. შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ წითელ ნაჭერზე თეთრი ასოებით ლამაზად დაწერილი სიტყვები: „პიონერული საწარმოო კომბინატი".

— სკოლა და საწარმოო კომბინატი?—გაიკვირვებთ თქვენ და გასწევთ ამ კომბინატის სანახავად. აი, მისწვდით კარებს და გსურთ შეხვიდეთ შიგნით, გაეცნოთ პიონერულ კომბინატს, მის საამქროებს, „მუშებს", დაზგებს, ხელსაწყო-იარაღებს, და ბოლოს ამ კომბინატის პროდუქციას, მაგრამ...

— მოითმინეთ, თქვენი საშვი?— თავაზიანად მოგმართავთ წითელყელსახვევიანი, პატარა, მკვირცხლი გუშაგი და შესასვლელთან შეგაჩერებთ.

აბა, როგორ გგონიათ, კომბინატში აწყობილი მუშაობაა, შრომობენ პატარები და იცავენ შრომის დისციპლინას; აბა, ვისაც მოესურვება რომ კარი შეაღოს, რა გამოვა, გაცდებიან მუშები და საწარმოო გეგმას ვერ შეასრულებენ...

პიონერულ საწარმოო კომბინატს თავისი საწარმოო გეგმა აქვს. დირექცია კომბინატის თითოეული „მუშისაგან" მოითხოვს იყოს ხელმარჯვე, დაუზარელი, უყოყმანოდ და პირნათლად შეასრულოს თავის „საამქროს" უფროსის მოთხოვნა.

ჰო, მართლა, მკითხველო, თქვენ საშვის მიღება გაგიჭიანურდათ და კარებთან დიდხანს შეგაჩერეთ. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, საკმარისია მოსძებნოთ კომბინატის დირექტორი—კომკავშირელი გოგონა მანანა თევზაძე, და კომბინატში შესვლის საპატიო მიზეზი დაუსახელოთ, რომ მიიღებთ მომცრო ზომის საშვს და პატარა გუშაგიც ფართოდ გიღებთ საწარმოო კომბინატში შესასვლელ კარს.

თავდაპირველად ფიჭვისა და ხის სუნი გეცემათ, ხერხის ხრიალსა და შალაშინის შრიალს გაიგონებთ. შედიხართ ოქროსფერი ბურბუშელით მოფენილ ოთახში და თქვენს წინ ნამდვილი შრომის ფერხულია; მოგრძო დაზგაზე ხის მოზრდილი ფიცარი გაშოტილა, თენგიზ კორძახიას შალაშინი მოუმარჯვებია და ლონივრად უსვამს ფიცარს—გააქვს და გამოაქვს ბურბუშელები. დაზგასთან დგანან და მუყაითად შრომობენ აგრეთვე ამირან ძაგნიძე, აბესალომ ესაკია და გია ტურაბოვი. შალაშინის სარკესავით კრიალა ნაკვალევს ღიმილით გახედავენ ბიჭები და ფანქარსა და სახაზავს მოიმარჯვებენ.

— ახლა თანატოლად დავჭრით და საამქროს უფროსს ჩავაბარებთ,— გვითხრეს ბიჭებმა და ლურჯ ხალათში გამოწყობილ პიონერზე—ნანული ნაღებაშვილზე გვანიშნეს.

ნანული პირველი რაზმის პიონერია, იგი ბავშვია და, ბუნებრივია,

თავისი სიცოცხლის განმავლობაში ბევრ რამეზე უფიქრია და უოცნებია.

ოცნებობდა, მაგალითად, ბევრი ხუთიანი მიეღო და შეისრულა ოცნება—იგი ხუთოსანია; ცდილობდა ყველაზე მარჯვედ ეთამაშა ბურთი და კარგადაც ბურთაობს; უნდოდა ყველაზე ლამაზად დაეწნა ნაწნავი, ყველაზე ფაქიზად ეტარებია მოსწავლის ტანსაცმელი—ასეც არის. ოცნებობდა კარგი მეგობრები ჰყოლოდა და ჰყავს კიდეც. მაგრამ, აი, „საწარმოო კომბინატის“ საამქროს უფროსობას თუ შესძლებდა, ეს ვერ წარმოედგინა ნანულის, მაგრამ კარგად ასრულებს თავის მოვალეობას, კარგად უძღვება თავის საქმეს. ეს რომ ასეა, ამაში ჩვენც მალე დავრწმუნდით, როცა ნანულიმ თავისი საამქროს საწარმოო გეგმა გაგვაცნო:

— საკლასო ოთახებისათვის პალტოების დასაკიდები უნდა გავამრავლოთ, პიონერთა ოთახი ყვავილების 25 სადგამით უნდა დავამშვენოთ, სკოლის ბიბლიოთეკისათვის 10 თითო მეტრიანი თარო უნდა გავაკეთოთ, შემდეგ, მეზობელი საბავშვო ბაღისათვის მოზრდილი ურიკები უნდა გავაკეთოთ. თუ ყველაფერი ეს შევასრულეთ, მაშინ კომბინატის დირექტორი ნებას დაგვრთავს ნამდვილი ქარხნიდან მივიღოთ შეკვეთა.

ნანულიმ სახეზე გაკვირვება შეგვნიშნა და საჩქაროდ დასძინა:

— ფირფიცრის მომცრო ყუთებს დავამზადებთ. ეს არც ისე ძნელია. ვფიქრობთ, უფროსები ამ საქმეს გვჯანდობენ, ჩვენი რაიონის ქარხნებისა და საწარმოების მუშები ჩვენ კარგად გვიცნობენ: — ჯერ ერთი იმიტომ, რომ ექსკურსიებზე დავდივართ მათთან, ვეცნობით მოწინავე მუშებს, მათი დაზგების მუშაობის პროცესებს და დამზადებულ პროდუქციას. ჰო, მართლა, ჩვენი სკოლის მეშვიდეკლასელები ამ კომბინატში „გამოიზარდნენ“ და ახლა თბილისის ვაგონ-შემკეთებელ ქარხანაში თავიანთი პიონერული საამქრო შექმნეს. ახლა ისინი წარმოებაში არიან და შრომობენ.

ქარხნის მისამართი ჩავიწერეთ. პიონერული კომბინატის სადურგლო საამქროში ფოტოსურათი გადავუღეთ პატარა ოსტატებს და ახლა სხვა ოთახებში შევედით. საზეინკლო, სახარატო, მღებავების, რადიოსა და ტელეფონის, ხელგარჯილობის საამქროები დავათვალიერეთ, სანჰიგიენისა, და თვითმომსახურეობის კომბინატები ვინახულეთ, ნორჩი მეცხოველეები და ნატურალისტებიც გავიცანით და თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნისაკენ გავეშურეთ. ახლა ამ ქარხნის პიონერული საამქრო გვინდოდა გვენახა.

— პიონერები სამგზავრო ვაგონამწყობ საამქროში არიან,—გვითხრა შესასვლელ კარებში ქარხნის მორიგემ და იმ საამქროსაკენ გზა მიგვასწავლა.

უზარმაზარ საამქროს ჭერი მინისა ჰქონდა და ამიტომ იქაურობა მზის სხივებით იყო სავსე. ლიანდაგებით დასერილ „იატაკზე“ მწყობრიდან გამოსული, დაზიანებული ვაგონები იდგნენ.

ლურჯხალათიანი, მკლავებდაკაპიწებული პიონერები ამ ვაგონთა კიბეებს, ფანჯრებსა და კედლებს შესეოდნენ.

ანა მეფარიშვილს, ნანა ჯულელსა და ელენე გამყრელიძეს ცალ ხელში საგლესი თიხა ეჭირათ, მეორე ხელში კი პატარა ქაფქირი, კიბეებზე იდგნენ და ვაგონის დაბზარულ კედლებს ოსტატურად ლესავდნენ. მათ თემურ ლომაშვილი და ელიზა ქიტიაშვილი მოჰყვებოდნენ,—ისინიც კიბეზე შემდგარიყვნენ. კიბის კაუჭზე საღებავიანი თუნუქის ყუთი ეკიდა, ნორჩ მღებავებს ხელში ფუნჯები ეჭირათ, დინჯად და მოთმინებით უსვამდნენ ერთ ადგილზე მოლისფერ საღებავს მანამ, სანამ ვაგონის კედელი მწვანედ არ ალაპლაპდებოდა.

როგორც იმ ქარხნის მუშებმა გვიამბეს, ეს პიონერული საამქრო თურმე დიდ დახმარებას უწევს უფროსებს.

— პირველად, თითო მოსვლაზე, ვაგონის ერთი პატარა ნაწილის შელესვას და შეღებვას ძლივს აუდიოდნენ, ხელები ელლებოდათ, საღებავიც ეღვრებოდათ. ერთი სიტყვით, შეუჩვევლობით მოსდიოდათ და ჩვენც არ ვატანდით ძალას. ვამბობდით, სანამ ეხალისებათ, მანამ იმუშაონო,—გვითხრა სამგზავრო ვაგონამწყობი საამქროს უფროსმა ვლადიმერ რაჭველიშვილმა.

მერე და მერე გაუწაფიათ ხელი პიონერული საამქროს „მუშებს“ და



— ახლა კი მე ვიქნები თქვენი შეგირდი! აბა, შეამოწმეთ ჩემი ცოდნა, ვიწყებ ჩარხვას,—ღიმილით უთხრა სტუმრად მოსულ პიონერებს ოსტატმა ნიკოლოზ მანჯგალაძემ.

წინადადებაც მიუციათ უფროსებისათვის — თქვენ ხის სამუშაო მოითავეთ შესაკეთებელ ვაგონში და შემდეგ ჩვენ მოვუვლითო.

მოსავლელი კი არც თუ ისე ცოტა რჩებოდათ პიონერებს. ხუმრობა ხომ არ არის, დაბზარული კედლების თიხის საგლესით შელესვა და შემდეგ მთელი ვაგონის შეღებვა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნაწილი პიონერული საამქროს წევრებისა გამომჭრელ საამქროშიაც ეხმარება უფროსებს ხამი ტილოსაგან ფანჯრის სახელურების გამოჭრა-გაკერვაში და ლეიბის საპირეების შეკერვაში. რბილი ვაგონის საწოლების გადამკვრელთა საამქროს მუშებს შორისაც ტრიალებენ ალისფერყელსახვევიანები: მზია კორძაძე და ციცინო ფანცულაია. აქ მათ თავიანთი უფროსი მეგობარი — დეიდა ანა ხუციშვილი ასწავლით, თუ როგორ გადასჭიმონ ხამი ტილო ზამბარიან ჩარჩოზე. ამ ჩარჩოებს შემდეგ ვაგონებში საწოლებზე ამაგრებენ უფროსები.

საზეინკლო-საბოქლომე საამქროში რევაზ ასანიძეს, ომარ ავსაჯანაშვილს და ინეზა ბერაიას სწორედ ისეთი სახარატო დაზგები და ბურღები აქვთ, როგორიც თავიანთი სკოლის პიონერულ საწარმოო კომბინატში.

რეზომ შეჩვეული ხელი მოჰკიდა ბურღს, ქვემოთ ლითონის ბრტყელი ნაჭერი შეუდო და ხელსაწყო ჩართო. ბურღვის ნაცნობი ხმა ჩაესმა რეზოს, ლითონის ზედაპირზე ლითონის წვრილი ბურბუშელები აპრიალდნენ.

— ერთი, ორი, სამი... ითვლის რეზო. მას გამოანგარიშებული აქვს, და მეშვიდე დათვლაზე გამოაქვს ბურღიდან ლითონის ნაჭერი, ყურადღებით გასინჯავს, მოინიშნავს თუ სად უნდა გაიბურღოს ლითონის ნაჭერი, ისევ სდებს მას ბურღში და ხელახლა ჩართავს... რეზო და მისი თანატოლები ერთ „სამუშაო დღეს“ ლითონის ასამდე ნაჭერს ბურღავენ.

უხარიათ მეგობრებს, რომ ამ უზარმაზარ საამქროში მათაც თავიანთი ადგილი აქვთ — პატარა წვლილი შეაქვთ დიდი შრომის ფერხულში. ამიტომ არის რომ, სწავლისაგან თავისუფალ დროს, კვირაში ერთხელ, ნამდვილი მუშის წინსაფარს იკეთებენ და თავიანთი პოსტისაკენ — მშობლიურ საამქროსაკენ მიიჩქარიან.

**რ. იაშვილი**
**ნ. თარგამაძე**

ფოტო **გ. შენგელიახი**



— იქნებ ჩვენც მოვხვდეთ იმ ვაგონში, რომლის ფანჯრებსაც ჩვენი დამზადებული ჩარჩოები ექნება ჩადგმული, — იღიმებიან მზია კორძაძე და ციცინო ფანცულაია.

## უკუღმართი ბიჭუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გ. ბორიანი**

ერთი ძმა მყავდა პატარა,
დავკარგეთ მისი იმედი:
ყოყოჩს და ენატარტარას,
მართალს ვერ ათქმევინებდი.

თავხედურ უხიაგობით
ლამობდა სხვებზე მეტობას...
და, შენ რომ ასე ამბობდი,
ის წინააღმდეგს გეტყოდა.

ვხედავ ცა არის კაშკაშა...
— ბიჭო, მზე არის, დარია!
თვალიც არ დაახამხამა, —
— მზე კი არაო, მთვარეა.

ვუხსნი:
— მდინარე ზღვას ერთვის,
წესია სამარადისო...
— ვინ თქვა სიცრუე ასეთი,
ზღვა მდინარეში ჩადისო.

— მწიფე ყურძენი თუ გახმა,
ქიშმიში დგება უბადლო...
ის კი ამტკიცებს უკუღმა:
ქიშმიშს ახმობენ ყურძნადო.

ბოლოს იქამდე მივიდა
უგნურ სიტყვების თამაშით,
რომ თქვა: ზაფხულში თოვლია
და ხე ჰყვავისო ზამთარში.

— ჰო, მართლაც... რა ჭკვიანი ხარ! —
ვუთხარი ნაზად, ტკბილი ხმით,
და მერე იცით რა მითხრა?
ჰე, რას ამბობო, პირიქით...

ეს ჩვეულებით წამოცდა,
უნდოდა შემოდავება
და უცებ მიხვდა, გაოცდა,
დაიბნა, ენაც დაება.

გვინდა იცნო ანკესი
და სიტყვა მოსატყუარი...
ეხ, თავის სიჭკვიანეზე
როგორ წამოცდა უარი!

ამ მარცხმა ისე დატანჯა,
რომ მგონი თქვენც მოუწონოთ:
ახლა თავს უდგას დარაჯად, —
რამე არ დასცდეს უსწოროდ.

გზა თუმც სიმართლეს ერთი აქვს,
ტყუილს — ათასი ბილიკი,
თეთრზე ამბობს რომ თეთრია,
და არასოდეს პირიქით.

თარგმნა **დავით გაჩეჩილაძემ**



# საპატიო მოვალეობა

ლადო მრელაშვილი

ნახ. ზ. ლეჟავასი

ამ წელიწადს უცებ მოადგა სოფელს ზამთარი.

დღე და ღამე თოვდა.

თოვდა განუწყვეტლივ, თოვდა გადაუღებლად.

ნაცრისფერ ციდან მოცვიოდა უამრავი ნამცეცა ფთილები. თეთრ, ლამაზ ფარდაგად ეფინებოდა მიწას, ედებოდა სახლის სახურავებს და ფუტკრებივით ეხვეოდა ბაღებში ხეების ტოტებს, მარგილებზე უცნაური წოწოლა ქუდები ჩნდებოდა და, რაც უფრო მატულობდა თოვლის სისქე, ეს ქუდები უფრო იზრდებოდა და მაღლდებოდა.

დილით გასული ონავრები გვიან საღამოთიღა შედიოდნენ სახლში, თოვლში ნაგორავებნი და დამბალ-დასველებულნი.

თოვლი კი ყველაფერს თავისფრად რთავდა, ბარდნიდა განუწყვეტლივ და სახლის სახურავებზე ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ შეწუხებულმა ნუგზარმა უთხრა მეგობარს:

— ხედავ, რეზო, რამოდენა თოვლი დადო? თუ მაშო ბებიას სახლის სახურავი არ გადავხვეტეთ, შეიძლება ჩაანგრიოს თავისი სიმძიმით.

— ეგ კარგი მოიფიქრე, ნუგზარ. ცოტა დაძაბუნებულია კედლებიც, ახლა ახალია საჭირო, მაგ სახლმა დრო მოჭამა.—კეფა მოიქექა რეზომ.

— აი გაზაფხულდება და დაუდგამენ.

— სანამ გაზაფხულდება?

— სანამ გაზაფხულდება, თოვლი უნდა გადავხვეტოთ კრამიტებიდან.

— მე კი მგონია, სახურავის ფხეკას ისა სჯობს, შეშა დავუხერხოთ.

— შეშა უკვე მოუტანეს?

— მოუტანეს, მაშ!

— ძალიან კარგი... დღეს კვირაა... მოდი, ბარემ ახლავე წავიდეთ, დავხერხოთ და სარდაფშიაც ჩავზიდოთ, თორემ ზევით დარჩენილს თოვლი დაჰფარავს და სად უნდა ირბინოს მოხუცებულმა ყოველდღე თოვლში?

— წავიდეთ, მაგრამ ჩვენი ხერხი მამაჩემსა აქვს წაღებული.

— ჩვენი წავიღოთ, გუშინწინ გალესა მამაჩემმა.

— თუ ასეა, წავიდეთ.

ბიჭებმა ბირდაბირი აიღეს და მოღრეცილ აივნიან სახლისაკენ გასწიეს.

მაშომ ხერხით მიმდგარი ბიჭები რომ დაინახა, განცვიფრდა.

— რაო, მავნეებო, რაზე გარჯილხართ?

— შეშა უნდა დაგიხერხოთ, მაშო ბებო!

— შეშაო? აბა, დაიკარგეთ აქედან! თქვენი ეშმაკობის თავი მაქვს ახლა? დაგიხერხოთო! რასაც არ მომფლეთთ, რას მომაკერებთ? აბა, მოუსვით, რაღასა დგეხართ?

ბიჭებმა უკან არ დაიხიეს. აუხსნეს რაში იყო საქმე, გააგებინეს, რომ გულწრფელად უნდოდათ მისი დასკარება და ბოლოს ბებერმაც ნება დართო.

შუადღემდე მოუნდნენ დახერხვასა და სარდაფში ჩაზიდვას და მერე გაოფლიანებული ბიჭები ღუმელთან მიიწვია ნასიამოვნებმა მასპინძელმა.

დაფუსფუსებდა მაშო ბებია სახლში: ხან ისედაც გახურებულ ღუმელს შეშას უკეთებდა, ხან ზედ შემოდგმულ ლობიოს დასტრიალებდა, ხან განჯინაში ეძებდა რაღაცას, ხან კარადაში აჩხრიალებდა ჭურჭელს და ხან პირსახოცს მიარბენინებდა პირდაბანილ ბიჭებთან. განსაკუთრებით ქვაბს მიეძალა და წარამარა სინჯავდა, მოიხარშა თუ არა ლობიოო.

— ამას რაღა დაემართა, ქაა, ამ ჩემი ცოდვით სავსეს? აბა, თუ მოიხარშოს. ვაიმე შვილო, დამიდგეს თვალები, მშივრები დაგხოცეთ.

— რას ამბობ, ბებო, ჩვენ სახლში ვჭამეთ პური და ჯერ არც მოგვშივნია.

— არა შვილო, მე აქედან მშივრებს ვერ გაგიშვებთ.

— ჯერ არც ვაპირებთ წასვლას, ბებო. აი შევისვენებთ ცოტას და მერე თოვლი უნდა გადავხვეტოთ სახურავიდან.

ბებერი შეცბუნდა.

— აბა, რას ამბობ, შვილო? სახურავზე რა გინდათ? იქიდან რომ ჩამოვარდე, დედაშენს ვინ გასცემს პასუხს? აი, აბრიას ვეტყვი და ის გადახვეტავს.

ბიჭებმა იწყინეს, რომ არ ენდვნენ და არ დაიშალეს:

— კრამიტებიდან რა ჩამოგვყრის, ბებო!

ბებერმა ხელები გაასავსავა.

— არ მინდა შვილო, რა ეშმაკად აიხირეთ? ჩამოცვივდებით და დამღუპავთ.

— ნუ გეშინია, ბებო, არ ჩამოვცვივდებით.

როგორც იყო დათანხმდა მაშო ბიჭებს და სარდაფიდან კიბე ამოუტანა.

შესვენებული და სახლის სახურავზე მოქცეული ბიჭები გულდაგულ მუშაობდნენ, მარჯვედ იქნევდნენ ნიჩბებს და ახვეტილ თოვლს ძირს ყრიდნენ, სადაც მაშო ვაჟკაცურად ჩამდგარიყო და ჩამონაყარი სათოხის იქით გაჰქონდა. ბიჭებმა ბევრი უშალეს: „ჩვენ თვითონ გავზიდავთო“, მაგრამ დაუსვენარმა ბებერმა ყურად არ იღო.

— ეტყობა, ზამთარი კარგი იქნება წელს და ციგურები კი ვერ ვიშოვეთ.—ცერად ახედა ნუგზარს რეზომ.

— რა შოვნა უნდა? ავდგეთ და ჩვენ თვითონ დავაკეთოთ.

— დავაკეთოთ,—ძალიან კი დააკეთებ!—მჭედლები ვერ აკეთებენ იმას და შენ როგორ გააკეთებ?

— რა სულელი ხარ, რკინა რად უნდა, ხე რამდენსაც მოისურვებ იმდენია, დადექი და თალე რამდენიც გინდა.

— ძალიან კი წავა ყინულზე ხე. სად რკინისა და სად ხისა.

— მე უფრო მიხვედრილი მეგონე, რეზო. აიღე ხე, გამოთალე ციგურა და ქვევიდან თუნუქი გადააკარ. ისე წავა, რომ რკინისას არ ჩამორჩება.

რეზო შეჩერდა გაკვირვებული.

— მართლა რომ მოხერხებული ხარ, ნუგზარ ერისთავო. გადავაკრათ თუნუქი, მაგრამ საქმე ის არი, რომ, თუ ჩვენი ლოპოტა მაგრად არ გაიყინა, ვერ გამოვიყენებთ ისე.

— არ გაიყინება და ნუ გაიყინება, თხილამურებით ვიცუროთ მაშინ. ნახე „გრძელი მიწის“ დაღმართზე რომ დავეშვებით!

რეზომ ამოიოხრა.

— თხილამურები მარტო ბეჟანსა და მამაშენს აქვთ. იქნება იმან შენც არ გათხოვოს.

— არც საჭიროა. ბეჟანისას არ გავიკეთებ და მამაჩემისა არც გამომადგება, დიდია.

— მაშ რა უნდა ვქნათ?

— ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ.

— თხილამურები?

— ჰო, რას გაიკვირვე, თხილამურები.

— ნუ იტყვი ხოლმე უცნაურს, ნუგზარ, თხილამურები როგორ უნდა გავაკეთოთ?

— არავითარი უცნაური არ მითქვამს. მშვენივრად შეგვიძლია თხილამურების კეთება... ცოტა უკან დადექ, თორემ დაცურდება კრამიტი და ორივე ერთად წახვალთ ძირს. ეგრე. ცოტაღა დაგვრჩა. ჰოდა, მამაჩემმა განა ქალაქიდან მოიტანა ის თხილამურები?

— მაშა?

— თვითონ გააკეთა.

— მართლა?

— მართლა. ჰოდა, მე ვაკვირდებოდი, როგორ აკეთებდა. არაფერი ძნელი არ არი. სულ ჩვენ ვიკეთებდით პარტიზანებიო ამეებს. ხომ იცი, რომ მამაჩემი პარტიზანი იყო.

— მე კი არა, მთელმა სოფელმა იცის,—ამბობენ გაზეთშიაც ეწერაო.

— ჰოდა, მორჩა და გათავდა. იმაზე ადვილი არაფერია, ჩვენ თვითონ გავაკეთებთ.

— გავაკეთოთ, ძმაო...

ბიჭებმა გაასუფთავეს სახურავი, პირდაპირ ზევიდანვე ისკუპეს და ფუმფულა თოვლში ჩაიფლნენ.

მაშო ბებიამ არაფრით არ გაუშვა უსადილოდ თავისი „მუშები“ და სიამოვნებისაგან სახეგაბადრულმა არაფერი დაიშურა სუფრისათვის.

— უი, ქაა, სულ დამავიწყდა მურაბა მე თავმკვდარსა—და მაშო ბებიამ განჯინიდან ახლა მურაბით სავსე ქილა გადმოიღო.

— თქვენი ქლიავისაა ეს მურაბა, ბებო?—შეეკითხა ნუგზარი, რაკი ძალიან ეტკბილა გასინჯვისას.

— ჰო, შვილო, ჩემი ერეკლეს მოტანილი კურკები დავთესე. ენაცვალოს ბებია იმას. პატარა ხარო, არ მიჰყავდათ ჯარში და თვითონ წავიდა. გამეპარა მე თვალდამდგარს. მოხალისედ წავიდა. რა იყო იქ სახალისო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრემც ღმერთი დასწვავს და დაჰბუგავს ჩემი ცოდვით იმ ფაშისტებს.—ბებერმა თვალებზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა. —ყოჩაღი იყო, ენაცვალოს ბებია, ყოჩაღი. ბოლო დროს ორდენი თუ მედალი მიეცათ და მადლობაც ეთქვათ. აგრემც ჩემი ცოდვით არ დაისვენოს ჰიტლერმა.

— ჰიტლერმა დიდი ხანია დაისვენა, ბებო,—ანუგეშეს ბებერი ბიჭებმა.—ფაშისტებიც ისე დაიწვნენ და დაიბუგნენ, რომ ერთი აღარ დარჩა მიწაზე. მარტო ერეკლე კი არ იბრძოდა, მთელი საბჭოთა კავშირი იქ იყო, ფრონტზე. ვაი, რატომ მაშინ დიდები არ ვიყავით?!

ახლა მოხუცმა დაიწყო ნუგეშის ცემა.

— ნუ გეშინიან, შვილო, მალე გაიზრდებით. სულ იმას ამბობდა ჩემი ერეკლე, ყოჩაღი ბიჭი დადგებაო. ერთი უტირეთ მტერს დედა. გახსოვს კი ერეკლე, შვილო?

— ცოტათი მახსოვს, ბებო.

— ჰოდა, თქვენ გაიხარეთ, შვილო, და გაუმრავლდით თქვენს პატრონს: ნეტა ის კაცი მაინც ცოცხალი იყოს, დაუთრობელს არ გაგიშვებდათ აქედან.

ბიჭებმა მადლობა გადაუხადეს ბებერს კვირადღის ასეთი გატარებისათვის, გამოემშვიდობნენ და შინისკენ გასწიეს.

ზამთრის არდადეგებამდე ჩვენმა ბიჭებმა კიდევ რამდენიმე „საქველმოქმედო“ საქმე გააკეთეს, მაგრამ არდადეგების დადგომისას კი გული სხვას ველარაფერს დაუდეს.—თავს იყრიდნენ კოლმეურნეობის სამჭედლოსთან



მაშო ბებიამ არაფრით არ გაუშვა უსადილოდ თავისი მუშები.

და ნუგზარისა და რეზოს ნაკეთებ ხის ციგურების ძირებზე ნაჭერ-ნაჭერად დაჭრილ კრიალა თუნუქს აკრავდნენ.

გოგოებმა პიონერხელმძღვანელის რჩევა მოიწონეს და გადაწყვიტეს პატარ-პატარა ლასტები დაეწნევინებინათ ბიჭებისათვის და შემდეგ ხეებზე აეტანათ, რათა იქ პურის ნამცეცები და ხილ-ბოსტნეულის ნარჩენები აეზიდათ დამშეული ჩიტებისათვის.

ზოგიერთებმაც დაუჯერეს მათ და დაიწყეს ლასტების ხეებზე ატანა.

მიუხედავად მოლოდინისა, ზამთარი არც ისე ყინვიანი გამოდგა და ბიჭები უკვე უკმაყოფილოდ ბუტბუტებდნენ, რადგან ლოპოტაზე ყინული მალე ტყდებოდა.

ფეხებდასველებულნი, მუხლისთავებდალურჯებულნი, კეფაზე კოპებდამსხდარნი და ნიდაყვებდაყვლეფილნი ბრუნდებოდნენ საღამოთი სახლში და მთელ ღამეს აშრობდნენ სველ ფეხსაცმლებს და შარვლებს.

ხსნა ისევ თხილამურებში იყო. მაგრამ, ზევითაც ვთქვით, ბიჭებს მთელ სოფელში მხოლოდ ორი წყვილი თხილამური ეგულებოდათ და იქიდან ერთ წყვილს სულ ვერ გამოიყენებდნენ, რადგან მათზე ორჯერ უფრო გრძელი იყო.

რას იზამდნენ, ისევ თვითონ უნდა ეწვალათ...

და დაიწყო დურგლობის ციებ-ცხელება: ხერხავდნენ, თლიდნენ, ამტვრევდნენ, კუწავდნენ, ბუზღუნებდნენ, სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ, იღრინებოდნენ, ისევ თავიდან იწყებდნენ, ოფლში სცურავდნენ, ძუნწად ილიმებოდნენ და, როგორც იქნა, ერთ დღეს ფეხებზე გაიკეთეს არც თუ ისე ლაზათიანი, მაგრამ მაინც სასიამოვნო და საამაყო ახალთ-ახალი თხილამურები. „გრძელი მიწები“ გამოაცოცხლა ბავშვების ყიჟინამ და უმტვერო, ქაღალდივით თეთრ თოვლზე ვიწრო და გრძელი ხაზები გაჩნდა.

ტყისპირიდან იწყებოდა ხვინჭიანის დაღმართი, იმას მოსდევდა „გრძელი მიწები“, შემდეგ ისევ დაღმართი დეკანოზიანთ კაკლებთან. შემდეგ თეთრი საყდრის ფერდობი და ბოლოს, სოფლის თავში მინდორი.

ამგვარად, ბიჭებმა კარგა სიგრძის „მარშრუტი“ აიღეს. მაგრამ აი უბედურება: შედგნენ თუ არა თხილამურებზე და გაცურდნენ ორ-სამ მეტრზე, მაშინვე თოვლში ჩასხდნენ. ბევრი იცოდვილეს, მაგრამ სულ გამოუსველდათ შარვლები და მაინც ვერას გახდნენ.

— მოიგონა ამოცანა რა! ჩვენ თვითონ დავთალოთ! დაჯექი და თალე!—ბურდღუნებდა დახოკილი არჩილი.

— აბა მაშ რა, როდის იყო თხილამურებს ჩვენოდენები თლიდნენ?

— მართალია. მეათე-მეთერთმეტეკლასელებსაც კი არ დაუთლიათ და ჩვენ მეექვსეკლასელები როგორ გავთლიდით?

რეზომ ჩაიცინა.

— წლოვანებაზე რომ იყოს, მაშინ პირველად ნარუსლიანთ საბას უნდა გაეთალა.

ნუგზარს გაეცინა მეგობრის კვიმატობაზე და აყაყანებულ ბიჭებს მიუბრუნდა:

— თხილამურებს ნუ აბრალებთ. მაგათი რა ბრალია, როცა ჩვენ თვითონ არ ვიცით ცურაობა?

— აბა ვისი ბრალია, ბეჟანი დაცურავს და ჩვენ ვერ უნდა ვიცურაოთ?

— მართალია. მაგას ნამდვილი თხილამურები აქვს და იმიტომ.

— აბა, მეც ეგეთები მქონდეს, ბეჟანი კი არა, „ვოლგაც“ ვერ დამეწეოდა.

ბიჭები უცებ შედგნენ და ბეჟანს ერთხმად შეეხვეწნენ.

— მოდი, ბეჟან, ცოტა ხნით მიეცი ეგენი, ვნახოთ როგორ გაფრინდება.

ბეჟანმა თხილამურები მოიხსნა და არჩილს გადასცა.

არჩილმა გაიკეთა ისინი, მაშინვე დაღმართზე დაეშვა და ბოლომდე გავიდა, მაგრამ როგორ! კინაღამ სიცილით დაწყვიტა ბიჭები: წინ თხილამურები მიდიოდა გარდიგარდმო აჩაჩხული, ხოლო უკან თვითონ მიჰყვებოდა თოვლზე ზურგით გაშხლართული.

ზურგგადაქლეშილი და აღრენილი არჩილი, როგორც იყო, აბობღდა ზევით და ფეხებთან მიუყარა პატრონს დაწყევლილი „ეშმაკის კლანჭები“.

ალექსი მიეფერა თოვლში გაზუნზლულ ბიჭს.

— აი, ჩემო არჩილ, მარტო გამბედაობა კი არა, მოხერხებაცაა საჭირო.

— რა მოხერხებალაა? ციგურებზე ვცურაობ და ამოდენა ხეებზე ვერ უნდა გავცურდე?

— ციგურებზე რომ ცურაობ, იმიტომ ისწავლი უფრო ადრე. აქ ჩხუბი და აყალ-მაყალი კი არ უნდა, წყნარად, ბეჯითად, გულდაგულ და ყურადღებით უნდა შესწავლა. აბა გაიხსენე, პირველ მეოთხედში არითმეტიკაში რა გყავდა?

— ორი.

— ახლა?

— სამი.

— ამას კი მუყაითი მუშაობით, დაკვირვებითა და მონდომებით მიაღწიე. ესეც ასეა.—უნდა აიტანო ყველაფერი. ჯიუტი ხარ და, თუ ეს სიჯიუტე სწავლაში გამოიყენე, ყველაზე ადრე შენ შეისწავლი თხილამურებით ცურაობას... მოეხმარე ბეჟან და შენი თხილამურები ათხოვე. აბა, დავცხოთ ბიჭებო! ჩვენისთანა თხილამურები მთელ საქართველოში არ ექნება კაცს. მიდი, დასცხე!

ბიჭებმაც დასცხეს,—უმეტესად კეფა, რადგან არც ისე ადვილი იყო ჯოხების ხმარება: დააბჯენდნენ ჯოხებს და, სანამ თოვლში ჩასობილებს ამოაძრობდნენ, ფეხზე მიკრული თხილამურები წინ გარბოდა, ხოლო ტანი თოვლში იჭიმებოდა.

— მოდით, ბიჭებო! ამასაც დავძლევთ—პიონერები ვართ,—წარამარა ხალხი ხომ არა?—ერთმანეთს უკიჟინებდნენ და ამ შეძახილებით გამხნევებული ბავშვები ნახევარ-ნახევარ მეტრობით ანგარიშობდნენ წარმატებას.



და დაიწყო დურგლობის ციებ-ცხელება.

საღამოთი დაწყვეტილ-დაქანცულები დაბრუნდნენ სახლებში, მაგრამ მეორე დღეს არავის დაუჩივლია, დაღლილი ვარო, და უფრო მეტი სიბეჯითე გამოიჩინეს. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც რამდენჯერმე წაუქცევლად ჩავიდნენ დაღმართის ბოლოში.

— გამოკეთდნენ ჩვენი თხილამურები, ბიჭებო,—ხითხითებდა არჩილი.—ეს მეორედ მივდივარ ისე, რომ თოვლზე ზურგი არ დამიდვია. მოდი, ნიკო, ხვალ ბეჟანს შევეჯიბროთ!

მესამე დღეს ბიჭებმა ხვინჭიანის აღმართი და „გრძელი მიწების“ ნახევარი „აილეს“ და სიხარულისაგან გადაირივნენ. დაეტაკნენ ერთმანეთს და გაჩნდა თოვლში გორაობა. ყველაზე მეტს ნიკო ხარხარებდა.

ნუგზარი უცებ წამოხტა ფუმფულა თოვლიდან და აყვირდა:

— ბიჭებო, ბიჭებო! მოიხსენით თხილამურები და ისე ვიჭიდაოთ, თორემ გაფუჭდება და ვატკენთ კიდეც ერთმანეთს რამეს.

— მართალია. მართლა მოვიხსნათ და ისე დავეტაკოთ ერთმანეთს.

— აყლაყუდა ალექსიმაც მოიხსნას?

— მაგანაც უნდა მოიხსნას, ყველამ.

ნიკო მუცელზე ხელს იჭერდა, მოკრუნჩხული გორაობდა და ხითხითისაგან ძლივსღა ლაპარაკობდა:

— არ უნდა, ნუგზარ,—გაუშვი, ჰქონდეს, ფეხზე მაინც არ ეტყობა, ხი, ხი, ხიი! გეგონება ქოშები აცვიაო, აბანოს ქოშები!..

იქაურობა ბიჭების ხარხარმა გააყრუა.

მეოთხე დღეს ყველაზე ბედნიერები იყვნენ: თხილამურებმა ივარგეს და თეთრი საყდრის ფერდობიდან სოფ-

თორემ დახოცავენ ერთმანეთს, ხომ არ მოვაკვლევინებთ იმ კაცს?

— მართალი ხარ, ბეჟან, დააწექით ჯოხებს!

ბავშვებიც დააწვნენ და ახოს თავში ასრიალდნენ. იქიდან გადახედეს ხვინჭიანიდან ამომავალ აღმართს და სიცილისაგან დაიფხრიწნენ.

აღმართის დასაწყისში თოვლწაფარებულ პატარა ორმოში ჩავარდნოდა ფიჩხით დატვირთული ციგა ნარუსლიანთ საბას, ვეღარ ამოჰქონდა და უშვერი წყევლა-კრულვით ეწეოდა ხიდურაზე მობმულ თოკს, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა მოხუცი, რადგან ძველებური ჯანი აღარ მოსდევდა და მშველელიც არავინ ჩანდა.

რაკი ლანძღვით ვერაფერს გახდა, მუდარაზე გადავიდა: ჯერ დაუყვავა, რომ ის მთელ სოფელში ყველაზე კარგი ციგა იყო; მერე გაახსენდა, თუ სად არ იარა მისი ფეხების საძებნელად, როგორ გულდადებით გამოთალა; ახლა ისიც უთხრა, რომ მისი იმედით დაუდო ამ-



მეოთხე დღეს თხილამურებმა ივარგეს, და თეთრი საყდრის ფერდობიდან სოფლის თავამდეც კი გავიდნენ.

ლის თავამდეც კი გავიდნენ. ეს კი თითქმის გამარჯვებას უდრიდა, რადგან მეორე დღეს სწავლა იწყებოდა და ამდენი დრო აღარ ექნებოდათ საცურაოდ. ბიჭები იმდენად იყვნენ გახარებულნი, რომ ყვირილ-ჭყივილში ძლივს გაიგონეს ვიღაცის წყევლა-კრულვა ხვინჭიანის აღმართიდან.

პირველად ალექსიმ და კაკომ მიაქციეს ყურადღება და ნიკოს ანიშნეს ყური დაუგდეო, შემდეგ დანარჩენებიც შეჩერდნენ და დააყურეს. ვიღაცა ვიღაცას ეჩხუბებოდა, წყევლიდა და დაჭრითა და დაჩეხვით ემუქრებოდა. ერთხელ მთელ-მთელად დაწვასაც შეპირდა, მაგრამ მსმენელებმა ვერაფერი გაიგეს, რადგან ის ვინმე,— მისი მოპირდაპირე, ხმას არ იღებდა:—ეტყობოდა მტყუანი იყო.

ნუგზარმა ბიჭებს მოხედა და ჩამოათვალიერა გაოცებული სახეები.

— ვინ უნდა იყვნენ, ბიჭებო!

— არ ვიცი, ძმაო,—მხრები აიჩეჩა რეზომ.

— სულ ერთია, ნუგზარ, ვინც უნდა იყოს. მივიდეთ,

დენი ფიჩხი: მერე თავი შეაბრალა: დედაკაცი შინ არ შემიშვებს, თუ ფიჩხი არ ჩავუტანეო; და ბოლოს შეეხვეწა: ახლა, რა არი ეგრე გაჯიუტება—ცოტა შენც აიწიე, ხომ ხედავ, რომ მოხუცი ვარო. მაგრამ ციგას ყურიც არ უგდია მისთვის—იდგა არხეინად და ისმენდა ბერიკაცის ქოთქოთს.

მაშინ კი გაბრაზდა საბა, ორიოდე წიხლი უთაქა, გაიძრო წალდი და ალბათ შეასრულებდა კიდეც თავის მუქარას, ბავშვებს რომ არ მიესწროთ.

— ჰეი, პაპაჩემო, დაიცა, რას შვრები! ჰეი, საბა პაპავ!

მოხუცმა თავის აღებაც ძლივს მოასწრო, რომ უცნაურ ფიცრებზე მდგარი ქაჯები შემოეხვივნენ.

— ბიჭოს!—სიხარულისაგან აყაყანდა მოხუცი,—ეს რეები ჩაგიცვამთ, თქვე პაპის გამხარებლებო! აბა აქეთ მობრუნდი. დახე, დახე, ამ გასახარლებს, რეები უკეთიათ! სად იშოვეთ, ბიჭო? ეეე! პა, პა, პა, პა! ამ ხნის კაცი ვარ და ეგეთი რამეები არ მინახავს! როგორ დადიხართ ამეებით, სად გიშოვიათ?

ბიჭები გაიჯგიმნენ.

— ჩვენ თვითონ დავაკეთეთ.

— ეეე! დახეთ ამ გასახარლებს, რა უქნიათ! ჰი! აბა გაცურდით!

— ახლავე, საბა პაპავ, მაგაზე როგორ გაწყენინებთ.

ბავშვები ავიდნენ აღმართზე, იქიდან დაეშვნენ, თვალებდაჭყეტილ მოხუცს გვერდით ჩაუქროლეს და აღმართის ბოლოში ჩავიდნენ.

იღიმებოდა ბერიკაცი, გაბადრულ წვერ-ულვაშიდან ძირამდე მოცვეთილ კბილებს აჩენდა და თან სათითაოდ ათვალიერებდა ბავშვებს.

— ეეე! რეები ხართ, თქვე გასახარელნო, რეები ხართ! წინათ სად იყო ეგეთი რამეები, ან ვინ მოგვაცლიდა საცურაოდ. თავადებისათვის ვმუშაობდით. მთელი სოფელი იმათ ხელში იყო. ჰაი, დედასა, რა დრო ატარეს! მაგრამ ხომ ამოშხამდათ ყველაფერი, ვენაცვალე ჩვენ მთავრობასა, სულ ბოლი გაადინა ზურგზედა! ჰიჰიიი!... აბა, ბიჭებო, ახლა რას აპირებთ? წამოდით შინ, თორე მზე ჩადის და არ დაცივდეთ. ჰაი დედასა, რა მოზვრები იზრდებით! აბა, რას აპირებთ, არ მოხვალთ?

ბიჭებს საბას წაქეზება აღარ უნდოდათ. მოიხსნეს თხილამურები და ციგაზე დაუწყეს დაკრობა, ხოლო ნაწილი სამ კაცს აჰკიდეს. მიეხვივნენ მერე ციგას ერთი ყიჟინით, კინაღამ ხელში არ აიტაცეს და სულ ჟღავჟღუვით აიტანეს აღმართის თავში. აქ კი შეისვენეს ცოტა ხანს, ქარი ამოაღებინეს მუხლებს, ხოლო მერე მიეხვივნენ პაპას და მოსთხოვეს: გინდა თუ არა დაღლილი ხარ და ციგაზე უნდა დაჯდე.

მოხუცმა კარგა მაგრა იუარა, მაგრამ განა მოეშვნენ ცუღლუტები! ეხვეწნენ, ემუდარნენ, თავისი დედაკაცი აფიცეს და როგორც იყო დაითანხმეს.

საბა კოხტად მოთავსდა ფიჩხეზე და ორივე ხელი ჩასჭიდა ქანჩებს, რომ არ გადმოვარდნილიყო. ბიჭები გადახტნენ და ტყისპირას წალდით მოჭრეს რამდენიმე წკეპლა, შემდეგ დაგრიხეს და ციგას გამოაბეს აქეთ-იქიდან. მერე მიეხვივნენ, გაიდეს მხარზე წნელები, ზოგი გვერდებიდან და უკანიდან მიაწვა ციგას და გაიტაცეს სირბილით.

— ნელა იარეთ, შვილო, დაიღლებით! ნელა, შვილო, ნელა, არ დაიღალოთ!—ზრუნავდა მოხუცი, მაგრამ მას ახლა უფრო ის აშინებდა, არსად არ გადააბრუნონ და ე ბერიკაცი არ გადმოვვარდეო,—გამჟღავნება კი არ უნდოდა.

— ეგრე, შვილო, ეგრე!—ნელა-ნელა სჯობია. ჰოი, თქვენ გენაცვალეთ, ჰოი, თქვენი ჭირიმე!—მგლის მუხლი გაქვთ ნამდვილად! ეგრე შვილო! კიდევ ნელა, თორემ მალე დაიღლებით, ცოდონი ხართ!

თეთრი საყდრის ბოლოს დაღმართს რომ მიაღწიეს, პაპამ ჩამოსვლა მოიწადინა, მაგრამ ბიჭები არ მოეშვნენ, ემუდარნენ და ისევ ზედ დატოვეს.

— ვინ იცის გადაბრუნდეს თავქვეში და რაიმე იტკინოთ, შვილო.

— ნუ გეშინია, საბა პაპავ, მაგარი ბიჭები ვართ.

და მართლაც, აქეთ-იქიდან შემოხვეული ბავშვები ისე ამაგრებდნენ ციგას, ძალადაც რომ გდომებოდათ, ვერ გადააბრუნებდით.

ციგამ ჩაუქროლა „უკვდავების წყაროს“, გასცდა სათიხეებს და სოფლის თავში გავიდა.

ყველაზე წინ მიმავალი, თოკში შებმული [illegible] ფარამარა მოხედავდა ციგაზე ყეენივით შემჯდარ პაპას და მსხვილ კბილებს დაანახვებდა.

სოფელში შესვლისას კი პაპა საბამ აღარ გაუგონა ონავრებს და ჩამოვიდა ციგიდან.

— დიდი მადლობა, შვილო, დიდი მადლობა, დაიზარდენით, ვაჟკაცებად დაიზარდენით!

მაგრამ ბიჭები სულ არ აპირებდნენ დამშვიდობებას,—პირიქით, თოკი კი არა, ერთი წნელიც არ დაანებეს ციგისა, რომ მოხუცსაც გაეწია, დაძრეს ციგა და სანამ სახლში არ მიაცურეს, სოფლის ბოლოში, მანამ თავი არ დაანებეს.

— რა მიქენით, ბიჭებო, რა მიქენით,—ხარობდა ბერიკაცი,—ახლა დედაკაცი მიყაბულებს? მეორედ გამგზავნის ტყეში და ამას არ ჩამითვლის.

პატარა სახლის აივანზე შავებში გამოწყობილი ჭარმაგი ქალი გამოვიდა. ბავშვების დანახვაზე მიხვდა ყველაფერს, სათვალეებს ზემოდან დააკვირდა საბას და ბიჭები სახლში შეიწვია.

— აი, შე საბიავ, შენა! თითისხელები აწვალე, არა? შემოდით, ბიჭებო, სახლში, დათბით, დაისვენეთ. დახე ამ ბებერს!... მოდით შვილო!

მაგრამ ბიჭებმა იუარეს და ციგიდან თხილამურების მოხსნა დაიწყეს.

— მიხვალთ, აღარა დგებით? მაშინ ხილი მაინც ჭამეთ, გენაცვალეთ. რას გაშეშებულხარ, კაცო, შემოიყვა სახლში. — და თვითონ ხილის მოსატანად გაფუსფუსდა.

მაგრამ გარეთ როცა გამოვიდა, სინზე დაწყობილი ვაშლის და ყურძნის გროვით, საბასა და ციგის მეტი არავინ დაუხვდა.

— რა უყავ ბიჭები, კაცო?

საბამ გაიღიმა, გაბურდულ წვერ-ულვაშში ძირამდე მოცვეთილი კბილები გამოაჩინა და სახეგაბადრულმა მხრები აიჩეჩა:

— წავიდნენ, არ დაიცადეს რას იზამ. წავიდნენ. ჰაი დედასა, რა სახარე მოზვრები გვეზრდება, ატყობ დედაკაცო?!





# „ვაშენებთ პიონერულ ქალაქს!"



ქალაქს, რომლის შესახებაც ახლა გიამბობთ, ჯერ სახელი არა აქვს. პირობით მას პიონერულ ქალაქს ვუწოდებთ. ქალაქის საძირკვლის მშენებლობა უკვე დაწყებულია. მას 15.000 ბავშვი აშენებს ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, თბილისში, ფოთში, ჩვენი რესპუბლიკის ძალიან ბევრ სოფელსა და ქალაქში.

— როგორ? — იკითხავთ თქვენ, — ერთ ქალაქს როგორ აშენებს სხვადასხვა კუთხის მცხოვრები 15.000 ბავშვი?

მართალია, ეს ცოტა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ჩვენი პიონერული ქალაქი სწორედ ასე შენდება.

ამ ქალაქში იქნება ქუჩები, მოედნები, უბნები თავიანთი სახელწოდებებით. ქალაქს ეყოლება თავისი მმართველობა, საზოგადოებრივი კვების ტრესტი, ჯანმრთელობის, კულტურის, კავშირგაბმულობის განყოფილებები, რადიოკვანძი, ყოველდღიური გაზეთის რედაქცია და სხვა დაწესებულებები, რომლებიც საჭიროა ქალაქის ნორმალური ცხოვრებისათვის. ამ დაწესებულებებს თვითონ პიონერები განაგებენ. ქალაქში გაიხსნება უგამყიდველო მაღაზია, გამოფენები, მუზეუმი, სტადიონი, კლუბი; შეიქმნება სახანძრო რაზმი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მილიციაც კი... თუმცა შეიძლება მილიცია აქ უსაქმოდ იყოს, რადგან ქალაქში ცხოვრების უფლებას ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე საუკეთესო ბავშვები მოიპოვებენ, რომლებიც გაიმარჯვებენ თამაშში: «ვაშენებთ პიონერულ ქალაქს».



## რა თამაშია?

ნორჩი პიონერის საფეხურების შემოღების შემდეგ პიონერული რაზმეულების ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახდა. სკოლებში სხვადასხვა წრეები შეიქმნა; ამ წრეებში პიონერები სწავლობენ მეთევზეობას, სასარგებლო ნივთებისა და ხელსაწყოების დამზადებას; უფრო აქტიურად ჩაებნენ ბავშვები საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში, ეცნობიან თავიანთ მხარეს, აწყობენ ლაშქრობებს, სპორტულ შეჯიბრებებს.

თამაში „ვაშენებთ პიონერულ ქალაქს", რომელსაც ხელმძღვანელობს გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქცია, ბავშვთა რესპუბლიკური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური, დაეხმარება პიონერებს იმ ჩვევებისა და ცოდნის შეძენაში, რაც გათვალისწინებულია ნორჩი პიონერის საფეხურებით.

თამაშში ჩაბმულია 15.000 პიონერი. რაზმეულებში შექმნილია პიონერული ქალაქის ნორჩ მშენებელთა ბრიგადები. პირველ ბრიგადაში გაერთიანებული არიან პირველი საფეხურის პიონერები, მეორეში — მეორე საფეხურის პიონერები, მესამეში — მესამე საფეხურის პიონერები. ბრიგადებს ხელმძღვანელობს რაზმეულის საბჭო უფროსი პიონერხელმძღვანელის მეთაურობით.

ნახატები ე. ამბოკაძისა

## რას აკეთებენ ბრიგადები და როგორ აშენებენ ქალაქს?



თამაში ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე, რომელიც ივლისის შუა რიცხვებამდე გასტანს, თამაშის მონაწილეები პიონერული ქალაქის მშენებლობის მთავარი სამმართველოს დავალებებს ასრულებენ.

რამდენი რამ სჭირდება ქალაქს! მაგალითად, საათი. ქალაქში დაიდგმება მზის საათი. ვინ გააკეთებს მას? პიონერები. ამიტომ პირველი ბრიგადის წევრებს სამმართველომ მისცა დავალება, რომ თითოეულ პიონერს გაეკეთებინა მზის საათი. ეს დავალება უკვე შესრულდა. პირველი საფეხურის პიონერებმა იციან მისი დამზადება, და ქალაქში ისინი ერთს კი არა, რამდენიმე მზის საათს დადგამენ.

ქალაქში საჭირო იქნება კავშირგაბმულობა. კავშირგაბმულობის განყოფილებამ უნდა დაამყაროს სატელეფონო კავშირი „დაწესებულებებს" შორის. მერედა, ვინ დაამზადებს ამ ტელეფონებს? მშენებლობის სამმართველომ გაითვალისწინა ეს და მე-2 და მე-3 ბრიგადის წევრებს დაავალა დაემზადებინათ უმარტივესი ტელეფონი, რომლის აღწერილობა დაიბეჭდა გაზეთში. ეს დავალებაც უკვე შესრულდა. მომავალი ქალაქისათვის უკვე დამზადებულია რამდენიმე ასეული ტელეფონი.

ვინ იქნება ქალაქის გაზეთის რედაქტორი, ვინ იქნებიან რედაქციის თანამშრომლები, მხატვრები, კორესპონდენტები? ამის გამოსავლინებლად მშენებლობის სამმართველომ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო იუმორისტულ კედლის გაზეთზე, რომელსაც ბრიგადები გამოუშვებენ. სულ მალე დაჯამდება კონკურსის შედეგები და გამოვლინდებიან მომავალი ქალაქის გაზეთის მხატვრები, კორესპონდენტები, რედაქტორი.

ბრიგადებს შორის მოეწყობა კონკურსები და შეჯიბრებები საუკეთესო მზარეულების, „ექიმების", მსაჯების გამოსავლინებლად.

პიონერულ ქალაქში განსაკუთრებული მხიარულება უნდა იყოს. აქ მოწყენისათვის არავის არ უნდა ეცალოს. სამმართველომ ესეც გაითვალისწინა და თამაშის მონაწილეებს დაავალა შეისწავლონ პიონერული სიმღერები, ცეკვები, სხვადასხვა თამაშობები. მომავალი ქალაქის მცხოვრებლებს უნდა შეეძლოთ თვითმომსახურება, რადგან პიონერულ ქალაქში არ ეყოლებათ „ძიძები". ამიტომ სამმართველომ შეიმუშავა თამაშის მონაწილეთა ერთიანი ფორმა და ეს ფორმა ბავშვებმა თვითონ უნდა შეიკერონ. ამ საქმეში პატარებს უფროსებიც დაეხმარებიან. მართალია, ეს ცოტა რთული საქმეა, სამაგიეროდ საამაყო იქნება, როცა გამარჯვებულები ქალაქში ჩამოვლენ თავიანთ შეკერილ ფორმაში გამოწყობილნი.

## ვინ იქნებიან გამარჯვებულები?



თითოეული დავალების შესრულების ცნობა, რომელიც შემოწმებულია რაზმეულის საბჭოს მიერ, იგზავნება მშენებლობის მთავარ სამმართველოში. იმის მიხედვით, თუ როგორ არის შესრულებული დავალება, პიონერებს ეგზავნებათ ქაღალდის ვარსკვლავები: წითელი ვარსკვლავით აღინიშნება ფრიად კარგი შესრულება, მწვანე ვარსკვლავით — კარგი შესრულება, ყვითელი ვარსკვლავით — დამაკმაყოფილებელი. ამ ვარსკვლავებს პიონერები პირად წიგნაკში აკრავენ. ვინც ყველაზე მეტ ვარსკვლავს დააგროვებს, სწორედ ის მიიღებს პიონერულ ქალაქში გამგზავრების საგზურს. ისინი დაჯილდოვდებიან აგრეთვე პიონერული ქალაქის სამკერდე ნიშნით.

სამმართველომ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო სახელის შერჩევასა და სამკერდე ნიშნის საუკეთესო ესკიზის წარმოდგენაზე.

ძალიან ბევრმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა ამ კონკურსში. ახლა სამმართველო აჯამებს კონკურსის შედეგებს და შეარჩევს ქალაქის სახელსა და სამკერდე ნიშნის ესკიზს.

## სად იქნება ქალაქი?



პიონერული ქალაქი ბორჯომის ხეობაში აშენდება და 10 დღეს [illegible] იქნება თამაშის მეორე ეტაპი. [illegible] ნორჩი მშენებლები ჩამოსვლისას პიონერულ ქალაქში, ძალიან გაუკვირდება, რადგან ტყის პირას გაშლილ ტრიალ მინდორზე ქალაქის ჩანასახიც კი არ იქნება. ქალაქს კი სახელიც ექნება და პიონერები მის მკვიდრად ჩასთვლიან თავიანთ თავს. თვითონ ბავშვებს კი არ გაუკვირდებათ, რადგან თამაშის მთელი შინაარსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პიონერებმა საკუთარ ხელებით ააგონ იგი. თამაშის პირველ ეტაპზე ფაქტიურად ხომ უკვე ჩაუყარეს საფუძველი ქალაქს, ახლა კი მიღებულ ცოდნას, ჩვევებს, გამოცდილებას გამოიყენებენ და... წინასწარ შედგენილი პროექტის მიხედვით გაიშლება ბავშვების მიერ დამზადებული კარვები, გაიჭრება ქუჩები, გაკეთდება სკვერები, ყვავილნარები, ამუშავდება სახელოსნო, მოეწყობა მუზეუმი, სასადილო, საექიმო პუნქტი; გაიმართება თვითშემოქმედების საღამოები, კონკურსები, მოეწყობა ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები. ქალაქში გამოვა გაზეთი, ამუშავებს რადიოკვანძი... ერთი სიტყვით, პიონერული ქალაქი იცხოვრებს ნამდვილი მჩქეფარე ქალაქური ცხოვრებით. ჩვენს პიონერულ ქალაქში არ იქნებიან ზარმაცები, უქნარები, ყველამ უნდა გამოამჟღავნოს ის ცოდნა და ის ჩვევა, რაც თამაშის პირველ ეტაპზე შეიძინა, და თავისი წვლილი შეიტანოს ქალაქის ცხოვრებაში.

თამაშის ყველა მონაწილემ უნდა იბრძოლოს პიონერულ ქალაქში გამგზავრების საპატიო უფლებისათვის.

ი. ცერცვაძე

7727



# საათი

ვ. ორჯონიკიძე

ნახ. რ. ცუცქირიძისა



ახალგაზრდობაში ალიოშას პაპა მეტყევედ მუშაობდა. ეს იყო დიდი ხნის წინათ, რევოლუციამდე.

სატყეოს ახლომახლო მთიანი სოფლების მცხოვრებნი კარგად იცნობდნენ პაპას, პატიოსან ადამიანად სთვლიდნენ და სიმართლისა და უანგარობისათვის უყვარდათ.

ხანდახან ტყეში გამგზავრებულ პაპას მოულოდნელად «ტყის ბატონი», მთელი ოლქის რისხვა, ზელიმ-ხანი შემოეყრებოდა ხოლმე. ზელიმ-ხანს შავი, გრძელბეწვიანი ნაბადი ჰქონდა წამოსხმული, ყაბალახით თავშეხვეულს მხოლოდ თვალები უჩანდა.

— სანადიროდ მიდიხარ?—შეეკითხებოდა ზელიმ-ხანი და ხანჯლის ტარზე ხელს დაიდებდა,—კეთილ მგზავრობას გისურვებ. ოღონდ დღეს მარჯვნივ ნუ წახვალ, არ გინდა... დღეს იქით არეულობა იქნება! მარცხნივ იარე..

პაპაც მარცხნივ მიდიოდა.

ზელიმ-ხანის კაცები ტყის გზებზე მიმავალ სოვდაგრებსა და მდიდრებს აჩერებდნენ, ნადავლს კი შემდეგ სოფლებში ღარიბებს ურიგებდნენ. როცა ქალაქელი ჩინოვნიკები გლეხებს უსამართლოდ მოექცეოდნენ, მათ მხოლოდ ზელიმ-ხანის რაზმელები ესარჩლებოდნენ.

პაპას მოსვლამდე აქ ერთი მეტყევე მუშაობდა. როცა ტყეში ბუჩქებიდან მოულოდნელად გამოსროლილმა ტყვიამ მას ქუდი მოაგდებინა, ის სასწრაფოდ გასცილდა აქაურობას. მეტყევის შუბლი იხსნა მრგვალმა კოკარდამ, რომელმაც ტყვია აისხლიტა.

ეს ყველაფერი ალიოშამ მამის ნაამბობიდან იცოდა. მას ძალიან უყვარდა პაპის თავგადასავლის მოსმენა. განსაკუთრებით ის მოსწონდა, რომ უშიშარი ზელიმ-ხანი მის პაპას, როგორც მეგობარს ისე ექცეოდა.

ერთხელ პაპამ ტყეში შემთხვევით საათი დაკარგა. რამდენიმე დღის შემდეგ, საღამოხანს, შინ მომავალ პაპას ნაბდიანი ცხენოსანი წამოეწია, ხელში რაღაც შეხვეული ჩაუდო და ცხენი უკან ვე გააჭენა. შეხვეულში პაპას საათი აღმოჩნდა. საათი ზელიმ-ხანის კაცებს ეპოვათ ჩამოცვენილ ფოთლებში.

ამის შემდეგ პაპა არ იშორებდა ამ საათს, ძალიან უფრთხილდებოდა და ახლოს არავის აკარებდა. ალიოშამ ეს კარგად იცოდა.

ეს «პაველ ბურეს» ფირმის საათი, ისეთივე «აკრძალული ნივთი» იყო, როგორც მოოქროულ ტყავის ყდაში ჩასმული «მეხილეობის» სამი ტომი, სადაც ისეთი ლოყაწითელი ვაშლები და ალუბლები იყო დახატული. ისეთი კრიალა და გატიკნული, რომ ნამდვილად სამურაბედ გამოდგებოდა.

პაპას ცხოვრების მტკიცე განაწესი ჰქონდა, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე კაი ხნისა იყო, მუშაობას მაინც თავს არ ანებებდა და არასგზით არ უნდოდა დაეტოვებინა ის ადგილები, სადაც ნახევარ ცხოვრებაზე მეტი გაატარა. მხოლოდ ხანდახან ჩამოდიოდა ქალაქში თავის საქმეებისათვის და ალიოშასა და მისი მშობლების სანახავად.

ჩვეულებრივად პაპა ქალაქში ღამის გვიანი მატარებლით ჩამოდიოდა.

ალიოშას მეორე ოთახში ატეხილი გაცხოველებული ფუსფუსი გამოაღვიძებდა და მაშინვე მიხვდებოდა, რომ რაღაც სასიამოვნო, სასიხარულო მოხდა. დედა ფრთხილად გააღებდა კარს, ფეხაკრეფით გაივლიდა ალიოშას

საწოლის გვერდით და კარადის უკნიდან სათადარიგო ლეიბს გამოიღებდა.

ისმოდა ხმადაბალი ლაპარაკი და ხველა, რომელსაც ალიოშა მაშინვე იცნობდა,—ასე მხოლოდ პაპა ახველებდა!

დილით ალიოშა ფრთხილად გამოდიოდა სასადილო ოთახში და თვალით საფერფლესთან დადებულ ლერწმის გაბოლილ მუნდშტუკს ეძებდა,—პაპა საღამოობით ყოველთვის აქ სტოვებდა მუნდშტუკს, ღამით თამბაქოს მოწევას ერიდებოდა.

საბაზანო ოთახში და აივანზე შავადდამკრახული ყურძნის გატენილი მტევნები ეკიდა, ყველგან ეწყო ატამი, ლეღვი და ბროწეული, კუთხეში დიდი მრგვალი კალათი იდგა, რომლითაც პაპას მოსაკითხი მოჰქონდა ხოლმე.

ალიოშა მოუთმენლად ელოდა როდის დაიბანდა პაპა პირს, შემოვიდოდა ოთახში და აკოცებდა, კოცნის დროს ჯაგარა ულვაშებით უჩხვლეტდა. ალიოშას უყვარდა მოხუცის ოდნავ შუბლშეკრული სახე, მისი ნაცრისფერი თვალები, სქელი, ჭაღარა წარბები, გულდასმით გაპარსული ლოყების მშრალი, ყავისფერი კანი.

პაპას ალიოშასათვის ნაყიდი სათამაშოები არ მოჰქონდა საჩუქრად. ის ამჯობინებდა მოეტანა ისეთი რამეები, რაც მის ძველ სახლში ინახებოდა. მაგალითად, სპილენძის ბუდეში ჩადებული ძველებური კომპასი, ან ალიოშას მამისა და მისი ძმების ბავშვობის დროს შეგროვილი კოლექციები: ბამბის ბუდეებში ჩასმული ქვები, იმ ჩიტების კვერცხები, რომლებიც კავკასიაში იციან. ეს ყველაფერი საგანგებო ყუთებში იყო ჩალაგებული.

იმ დღეებში, როცა მათთან პაპა იყო სტუმრად, ალიოშას ძალიან უჭირდა სკოლაში გაკვეთილების დამთავრებამდე ჯდომა, შინ ეჩქარებოდა.

ასე იყო ახლაც.

ალიოშამ გზაშივე გაიხადა პალტო, მოიხადა ქუდი და ჩანთის მხიარული ქნევით ეზოში შემოვიდა.

შინ მარტო დედა დაუხვდა.

— იცი, ერთი არასასიამოვნო ამბავი მოხდა, პაპას საათი გაჩერდა,—უთხრა მან ალიოშას.

— ოჰ, პაპა ალბათ შეწუხდა...

— ჰო, ძალიან ნაწყენია... საათის გაჩერების გამო ინსტიტუტში დააგვიანდა...—დედა ალიოშასკენ მობრუნდა და ყურადღებით დააცქერდა მას. მაგრამ ამ დროს ალიოშა ჩანთიდან წიგნებს ალაგებდა და დედის შემოხედვა არ შეუმჩნევია.

— შენ რა გგონია, რად გაჩერდა საათი?

— არ ვიცი, დედა, იქნებ პაპას ხელიდან გაუვარდა?

— არა მგონია... ახლა წადი, ჭამე, საუზმე მზად არის.

ალიოშამ სასწრაფოდ ისაუზმა. ვაშლი რომ შეჭამა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა ახალი უსიამოვნო ამბავი.

ახლა მე საშასთან წავალ. იქვე მოსახვევში საათების სახელოსნოა. თუ კი პაპას უნდა, იმ სახელოსნოში წავიღებ საათს.—ამბობდა ალიოშა, თან პალტოს იცვამდა.

— არ ვიცი, მოინდომებს კი... არა მგონია... —უპასუხა დედამ.— საშასთან დიდხანს ნუ დარჩები... მამამ გთხოვა, მისი მოსვლის დროს შინ იყო.

როცა ალიოშა დაბრუნდა, ყველანი მაგიდას უსხდნენ, ჩაის სვამდნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. როგორც კი ალიოშა ოთახში შემოვიდა, ყველანი გაჩუმდნენ. ალიოშას მოეჩვენა, რომ მისი აქ არყოფნის დროს რაღაც მოხდა. ის მოლოდინით უცქეროდა ხან მამას, ხან დედას.

კოპებშეკრულ მამას ალიოშასათვის ზედ არ შეუხედავს, ისე უთხრა:

— ოთახში რომ შემოდიხარ, უნდა მოგვესალმო...

— გამარჯობათ, საღამო მშვიდობისა... — ჩაილაპარაკა ალიოშამ და დივანისკენ წავიდა.

— ალიოშა, პაპას საათი გაჩერდა.

— დიახ, უკვე გავიგე, დედამ მითხრა, მე მინდოდა წამეღო...

მამა თითქოს ყურს არ უგდებდა მის ლაპარაკს. რაღაც უჩვეულო, არასასიამოვნო ხმით შეეკითხა:

— ხომ არ იცი, რად გაჩერდა საათი?

— არა, არ ვიცი...

— ჩვენ, აი, რატომღაც გვგონია, რომ საათი ვიღაცამ აწვალა.,.

ეს ორი სიტყვა: «ჩვენ გვგონია», მამამ სულ სხვანაირად, უცნაური ტონით სთქვა. ალიოშამ ისიც კი გაიფიქრა, რომ მამას თვითონვე არა სჯერა თავისი ნათქვამი.

ალიოშა პაპასკენ მიბრუნდა.

პაპა მას მამის თვალებით უყურებდა. მაგრამ ძალიან, ძალიან მკაცრი თვალებით. ასეთი მკაცრი თვალები მამას არასოდეს არ ჰქონია.

— არ ვიცი,—კვლავ სთქვა ალიოშამ.—იქნებ ვინმეს უნდოდა მოემართა...

— ვის?

— ვინმეს...

— სისულელეს ნუ ამბობ,—სთქვა დედამ და წამოდგა,—შენ მშვენივრად იცი, რომ აქ ჩვენს მეტი არავინ შემოვიდოდა.

— არავინ შემოვიდოდა... — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა ალიოშამ.

მას ძალიან მოსწყინდა, კითხვებზე პასუხის გაცემა არ სიამოვნებდა.

ალიოშამ ჯერ დედას გადახედა, მერე მამას, ახლა მოხუცს გადაავლო თვალი და მის გვერდით თავისი დედმამა ძალიან, ძალიან ახალგაზრდა ადამიანებად, თითქმის ბავშვებად მოეჩვენა.

— მაშ არ გიხლია ხელი?—უცებ შეეკითხა პაპა.

— არა.—უპასუხა ალიოშამ.

ის თვალს არ აშორებდა მამას და დედას. დიახ, ახლა ისინი ჭაღარა და შუბლშეკრული პაპის გვერდით სრულიად ახალგაზრდები და უმწეონი ჩანდნენ.

ისინი ბავშვებივით შეჰყურებდნენ ხან პაპას, ხან ალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მაშ, არ გიხლია ხელი?—უცებ შეეკითხა პაპა.

ოშას და თვალებით სთხოვდნენ, ეთქვა სრული სიმართლე, ყველაფერში გამომტყდარიყო...

მაგრამ რაში უნდა გამომტყდარიყო?

ერთ ხანს ყველა გაჩუმებული იყო, მხოლოდ კედლის დიდი საათის ქანქარის მწყობრი ტიკტიკი ისმოდა: «ერთი-ორი, ერთი-ორი»...

— მაშასადამე, შენ არ იცი, რად გაჩერდა საათი?— ამბობდა პაპა და ნელა ახვევდა ქაღალდში თამბაქოს, მოსაწევად ემზადებოდა.

— არ ვიცი...

— კარგი, ახლა წადი, გაკვეთილები მოამზადე და დაიძინე. ოღონდ ხვალ, სადილობისას, სრული სიმართლე უნდა გვითხრა.—უთხრა დედამ და მაგიდიდან ფინჯნების ალაგება დაიწყო.

«დედამ ვერც კი შეამჩნია, რომ ჩაი არ დამილევია».— გაიფიქრა ალიოშამ.

«სრული სიმართლე... მაგრამ რა არის ეს სიმართლე? განა მან უკვე არა სთქვა სრული სიმართლე? მან ხომ რაც თქვა, იმის მეტი არაფერი იცის?»

მეორე დღეს ალიოშამ ვერაფერი გააკეთა, მთელი დღე პაპაზე ფიქრობდა, მის მკაცრ თვალებზე. იხსენებდა მამის ნაამბობს, რომ პაპას ტყუილუბრალოდ არვინ დაუსჯია, მუდამ ალალ-მართალი და სამართლიანი იყო. ამისათვის როგორ სცემდა პატივს ხალხი.

«იქნებ, მართლაც მე გავაფუჭე საათი? — ფიქრობდა ალიოშა.—მაგრამ როგორ და როდის?»

ცდილობდა წარმოედგინა, როგორ შედის პაპას არყოფნის დროს ოთახში, როგორ იღებს მაგიდიდან საათს· წკარუნობენ ბრელოკები, ბზინავენ ლალის ბუდეები. ალიოშა უცებ შეატრიალებს საათს, ციფერბლატზე კითხულობს წარწერას: «პაველ ბურე» და მოულოდნელად იატაკზე უვარდება...

არა ამის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. ეს არ მომხდარა, არა...

პაპა დაბღვერილი დადიოდა, თითქოს ვერ ამჩნევდა ალიოშას. დედაც თითქმის არ ელაპარაკებოდა. სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ კი, როგორღაც აჩქარებით, თითქოს ეშინია არავინ დამინახოსო, თავზე ხელი გადაუსვა და პირის დასაბანად წავიდა.

— რაო, სთქვა?—ეკითხებოდა ის დედას სააბაზანო ოთახში.

— არა.

— ჰოდა, იქნებ მართლაც ეგ არ ყოფილა?

— მაშ, ვინ იზამდა შენი აზრით? მე ხომ არა?

— არ გესმის, საქმე საათი კი არ არის, საქმე პრინციპია.—ერთხელ იცრუა, მეორედ იცრუებს და ამ გზას გაჰყვება...

ისინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, სრულიადაც არ ერიდებოდნენ იმას, რომ ალიოშას გაეგონა.

— ხოო... იქნებ, მაინც სთქვას?

ალიოშა გრძნობდა, რომ თუ იტყვის, რასაც მისგან მოელიან, მაშინ აღარც პაპა ჩაუვლის დუმილით, ისევ ტკბილ საუბარს გაუბამს და ათასგვარ რამეს უამბობს, აღარც მამა დაუწყებს დარცხვენით და მუდარით ცქერას, დედაც ასეთი ჩხარა-ჩხურით და წკრიალით აღარ მიჰყრის ჭურჭელს სამზარეულოში. ყველაფერი ისევ დამშვიდდება და დაწყნარდება.

რისი უნდა ეშინოდეს? ცხადია, არავინ გაჯავრდება, არც ცემას დაუწყებს. არა, პირიქით, ყველანი ერთხმად შეაქებენ და იტყვიან, რომ ის ყოჩაღია, პატიოსნად აღიარა ყველაფერი, სრული სიმართლე სთქვა, ეს დიდი ვაჟკაცობა და კეთილშობილებაა.

მაგრამ ეს ხომ სიცრუე იქნება!

რამდენჯერმე მივიდა კარებთან, რომლის იქითაც პაპა იყო, ერთხელ შეაღო კიდეც; პაპა წიგნს კითხულობდა და ალიოშას სათვალეებს ზემოდან გადახედა, ამის გამო მისი შემოხედვა უფრო მოღუშული და მკაცრი მოეჩვენა. ალიოშამ იგრძნო, რომ არ შეეძლო მოხუცისათვის თვალებში შეეხედნა და სიცრუე ეთქვა, ამიტომ გაჩუმება ამჯობინა.

იმ ღამეს პაპა წავიდა. მან უსიტყვოდ ჩაუარა იმ კარებს, რომლის იქითაც ალიოშა იწვა და სულგანაბული უგდებდა ყურს მიმავალი მოხუცის ფეხის ხმას.

ისე წავიდა, რომ არც კი გამოეთხოვა, თავისი ჯაგარა ულვაშებით ლოყაზე არ უჩხვლიტა.

* * *

რამდენიმე ხნის შემდეგ ალიოშამ შეიტყო, რომ საათი თავისთავად გაჩერებულიყო, სიბერისგან მომკვდარიყო.



ავთანდილ სვანი

## აპრილი

ფრთა ჩამოტყდა ზამთარს,—
აპრილია მშვიდი,
როგორ გათამამდა
ეს პატარა ჩიტი!

როგორ შვენით ნაზი,
თეთრი კაბა ტყემლებს
და როგორ ჰღვრის ვაზი
სიხარულის ცრემლებს!

გაიღვიძა მიწამ,
გულს ვერ იტევს მკერდი:
გასაფრენად გიწვევს—
ცას შეხედე, ერთი!

სიხარული ავსებს
გამოფოთლილ ვერხვებს...
ამ ცას, ამ ბარს, ამ მზეს
შეხეთ, შეხეთ, შეხეთ!

შაქრო სამადაშვილი

## მონუმენტთან

სკვერი...
მძლავრ შუქზე მიწაც კი ბრწყინავს,
მზეს დილიდანვე ამოჰყვა ძალა.
ცა—სინათლის და ლაჟვარდის ბინა—
გაღიმებული დასცქერის ქალაქს.

შედგნენ.
აოცებთ პატარებს წრეზე—
ლომის რვა თავი ყბა-დაღებული,
წრის შუა: გმირი აშლილი ზეზე,
საშიშ მხეცებთან გამარჯვებული.

ფიქრია,
მზია,
ცოტნე,
ცისანა
კარგა ხანია მზერას მოუნდნენ,
ვერ ცილდებიან ვაჟკაცისაგან
ვეფხვის და ლომის ძლევის მონუმენტს.

... დგანან,
ფიქრობენ ქცეულნი მზერად...
თითო მათგანის ფიქრში ვტყობილობ:
მსურს გმირი გავხდე, ბოროტს და ვერავს
დავკრა და...
სული გავაფრთხობინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერნარდო კორდონი თანამედროვე პროგრესული არგენტინელი მწერალია. (დაიბადა 1908 წელს). მის კალამს ეკუთვნის მრავალი საბავშვო ნაწარმოები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ასეთებია, მაგალითად, „დიდთავა ბიჭი“, „გონს მოდით“, „ტორიბიო“ და სხვა. „ტორიბიოში“ მწერალი გვიხატავს მუქთახორა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც ცხოველისადმი უფრო მეტ მზრუნველობას იჩენს, ვიდრე ადამიანისადმი.



# ტორიბიოს თავგადასავალი

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

## ერნარდო კორდონი

მეზობლად მცხოვრებ ექიმის დამ ტორიბიოს სთხოვა, ახლომახლო ბაღში მისი მეძებარი ძაღლი გაესეირნებია.

ტორიბიომ ზრდილობიანი უარი უთხრა. ტორიბიო 16 წლისა იყო, სახე მთლად ბავშვისა ჰქონდა, მაგრამ გარეგნობით დიდს მოჰგავდა. მისი შავი თვალები ყველას ნდობას იწვევდა. ობოლი იყო, იზრდებოდა და ცხოვრობდა ბიძასთან, პარაგვაის ქუჩაზე.

ყველაზე ძალიან მას ხელოვნება და პალერმოს ბაღში ხეტიალი უყვარდა. იქ ხშირად ხვდებოდა მასსავით ღარიბ ბავშვებს, რომელნიც თეთრ ან წითელ ბაფთებით მორთულ ლამაზ ლეკვებს ჰყიდდნენ. თავიანთ საქონელს ისინი ბაღის წინ გამოაფენდნენ ხოლმე. ხშირად მათ წინ ეკიპაჟები ჩერდებოდნენ. მოისმოდა ქალების წვრილი ხმა და ნაზი წამოძახილები: „რა ლამაზია!“ მამაკაცები ლეკვის ფასს ჰკითხულობდნენ და ქალთა მიმართ აღფრთოვანების გამოსახატავად ხშირად გულუხვობას იჩენდნენ და ლეკვებს ყიდულობდნენ. ტორიბიო არაერთხელ ყოფილა მოწმე ამგვარი ვაჭრობისა და უკვირდა, რომ ლეკვებში უამრავ ფულს ხარჯავდნენ. საზღვარგარეთ ღარიბი ბავშვები უსაქმოდ და ცუდად ცხოვრობენ და ამიტომ ტორიბიომაც გადაწყვიტა რაიმეთი გაერთო თავი. იგი მეზობელთან მივიდა და ძაღლის გასეირნებაზე თანხმობა განუცხადა. მოხუც ქალს ძალიან გაეხარდა.

წინათ ძაღლი სასეირნოდ მოსამსახურეს დაჰყავდა ხოლმე, მაგრამ ახლა მას სხვა საქმე გაუჩნდა — მიღების საათებში ექიმის სასტუმრო ოთახში მორიგეობდა და, საბრალო ლეკვი, რომელიც დიდი ხანია ჰაერზე არ ყოფილა, სულ მთლად დაუძლურდა. ამგვარად ბებერმა ქალბატონმა ახალგაზრდას ანდო თავისი „პუკი“. ტორიბიომ ლეკვს სახელი გაუკეთა და გარეთ გამოიყვანა, ძაღლი სიხარულისაგან აყეფდა. პუკი ჰკვიანთვალებიანი, ჭრელი, ლამაზი, კარგი ჯიშის მეძებარი ძაღლი იყო. მაგრამ მისთვის ბაღში ყურადღება არავის მიუქცევია. დღის მეორე ნახევარში, გასეირნების შემდეგ, ტორიბიომ ძაღლი პატრონს მიჰგვარა, რომელმაც მომსახურებისათვის ბავშვს ერთი პესო აჩუქა. მეორე დღეს სეირნობა გამეორდა და აი, ლას-ერას მოედანზე წითელქუდიანმა, ინგლისურ კოსტუმში გამოწყობილმა კარგად ჩაცმულმა ქალმა ბოლოსდაბოლოს პუკს ყურადღება მიაქცია. ტორიბიომ ხელოვნების სიყვარულის მიზნით რაიმე სცენის გათამაშება გადაწყვიტა. ქალი ძაღლს თავს ვერ ანებებდა, ეალერსებოდა. უეცრად მან შეხედა ტორიბიოს, რომელსაც დახეული და ჭუჭყიანი ტანისამოსი ეცვა. ქალი დაეჭვდა — ეს ლატაკი ბიჭი ასეთი შესანიშნავი ძაღლის პატრონი არ უნდა ყოფილიყო.

— ვისია ეს ძაღლი? — ჰკითხა მან.

— ჩემია, — უპასუხა ახალგაზრდამ.

— ვინ მოგცა?

— ახლახან ვიპოვე. მითხრეს, რომ ჯიშიანიაო. მოგწონთ, ქალბატონო? — წამოიძახა ტორიბიომ და გული სიხარულით აღევსო.

— შორს ცხოვრობ? — ჰკითხა ქალმა.

ქალი ტორიბიოს შენობით მიმართავდა და ზიზღის კილოთი ელაპარაკებოდა.

ტორიბიო კი მსახიობობდა და უსაშველოდ ცრუობდა.

— აკიალენდაში ვცხოვრობ.

— აქედან შორსაა?

— დიახ, ქალბატონო.

ძალზე ცხელოდა, რის გამოც ძაღლი ძლივს სუნთქავდა. ქალმა მიუალერსა. პუკიმ მადლიერებით სავსე თვალებით ახედა მას. ქალი მზად იყო სიბრალულით ეტირა.

— რატომ ტაქსს არ დაიქირავებ?

— ფული არ მაქვს, —უპასუხა ტორიბიომ და ყური ცქვიტა იმ იმედით, რომ მომავალ მსახიობს ფულით დაასაჩუქრებდნენ. ასეც მოხდა: ქალმა ჩანთა გახსნა, ფული ბავშვს მიაწოდა და გადაწყვეტით უთხრა:

— ამისთანა სიცხეში საწყალი ძაღლი შინ ვერ მიაღწევს. ტაქსით წაიყვანე.

ქალმა კვლავ გადახედა ძაღლს, შემდეგ ტაქსი გააჩერა და მძღოლს უბრძანა — ძაღლი და ბავშვი იქ წაეყვანა, სადაც მათ სურდათ.

ტორიბიო მანქანაში ჩაჯდა და პუკი მუხლებზე დაისვა.

ქალმა კვლავ გადახედა ძაღლს, შემდეგ ტაქსი გააჩერა და გეზი ციხისაკენ აიღო. ტირიბიომ წინ და უკან მოსიარულე დარაჯები დაინახა. ოცნებით წარმოიდგინა თუ როგორ მირბის იგი ამ ქუჩაზე და ხის ძირას ეცემა. ირგვლივ კი სროლის გამაყრუებელი ხმაა. ხეს ამოფარებული ტორიბიო თავის ჯარისკაცებს სროლის ბრძანებას აძლევს. მის რაზმში მთელი მათი უბნის ბავშვები არიან: პირულო, გარიბალდი, კომისო და სხვები, რომლებსაც სამხედრო ტანისამოსი და საზღვარგარეთული ლეგიონის ქუდები ახურავთ. ყველაფერი ხდება არა ისე, როგორც კინოსურათ „მამაცობაშია“, არამედ პირიქით, ამჯერად ციხე-სიმაგრეს არაბები იცავენ. ტორიბიოს რაზმს მტრის ციხიდან განდევნა სურს, მაგრამ საიერიშო ბრძანების გაცემას ვერ ასწრებს, რადგან ციხე თვალთაგან ეფარება და მანქანა ლუდხანა „პალმეროს“ უახლოვდება. ტორიბიო მძღოლს მანქანის გაჩერებას თხოვს. მრიცხველი 5 პესოს აჩვენებს, რომელსაც ტორიბიო მაშინვე იხდის. მძღოლი გაბრაზებული რჩება.

— რაო, ძაღლის ტარებისთვის არაფერს იხდი?

— კარგი, კარგი, აჰა, აიღე კიდევ ერთი პიესო.

— იჰ, ხელგაშლილობა გამოიჩინა. პიესოდ ქირაობს ტაქსს!

— ხელი ჩაიქნია მძღოლმა და მანქანა გააქროლა. ტორიბიომ კი ძაღლი პატრონს მიჰგვარა.

— სად ასეირნე?

— ბაღში.

— პუკი კმაყოფილია?

— მე მგონი, ქალბატონო.

— საბელი არ მოგიხსნია?

— არ ვიცოდი ძაღლის თავისუფლად გაშვება თუ შეიძლებოდა, — წარმოსთქვა თვალმოჭუტულმა ტორიბიომ.

— შეიძლება, ირგვლივ მანქანები თუ არ არის.

— შემდეგში, მოშორებით, ტყეში წავიყვან.

— წაიყვანე, წაიყვანე. იქ მართლაც შეიძლება მისი თავისუფლად გაშვება, მხოლოდ ყურადღება უნდა მიაქციო ტბაში არ ჩავარდეს.

— ნუ შიშობთ, ქალბატონო, მე მას ყურადღებას არ ვაკლებ. — და წელში მოხრილმა ტორიბიომ ძაღლს მიუალერსა, ისე როგორც ამას წითელქუდიანი ქალი აკეთებდა.

— ძალიან შემიყვარდა თქვენი ძაღლი, ქალბატონო.

— დამჯერეა, ხომ მართალია?

— მერედა როგორი ჭკვიანი!

შემდეგ ტორიბიო ფეხბურთის სათამაშოდ წავიდა.

მეორე დღეს მან ძაღლი კვლავ გამოიყვანა სასეირნოდ ლასერას მოედანზე, იქნებ ის ქალი შემხვდეს, ათი პიესო რომ მაჩუქაო. დიდხანს უცდიდა და სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ნახვის იმედი დაჰკარგა, ქალი უეცრად გამოჩნდა, მაგრამ, დღეს სულ სხვა ტანისამოსი ეცვა. იგი შეჩერდა, მიუალერსა ძაღლს და ტორიბიოს შეეკითხა:

— გუშინ კარგად იმგზავრეთ?

— დიახ, ქალბატონო.

ქალმა ტორიბიოს თვალები მიაშტერა

— ვინ აბანავებს ძაღლს?

— ჩემი ბიცოლა. ჩვენ ყველას გვიყვარს იგი.

ტორიბიო დაბლა ჰხრის თვალებს. უეცრად თავში შესანიშნავი აზრი მოუვიდა:

— მხოლოდ მეზობლებს არ უყვართ, მოგეხსენებათ ლატაკი ხალხის ამბავი, მთელ ჯავრს ძაღლზე იყრიან, სცემენ და გაიძახიან — უეჭველად მოვწამლავთო.

— რაო... რაო? მოვწამლავთო? რა უნდა დაეშავებინა მათთვის ამ პატარა ლეკვს?

— ღარიბი ხალხი ყველა ასეთია, ქალბატონო,—ამბობს დაბეჯითებით ტორიბიო და ალმაცერად შეჰყურებს ქალს, რომელსაც შიშისაგან პირი დაუბჩენია.

— რა ჰქვია შენს ძაღლს?

— პუკი, ქალბატონო.

— პუკი!—ეძახის ქალი.



— რა ჰქვია შენს ძაღლს?
— პუკი, ქალბატონო.

— თუ მეზობლები ცუდად ექცევიან, რატომ არ ფიქრობ ახალი პატრონი გამოუნახო?

— სიამოვნებით გაჩუქებდით. მე ვიცი, რომ თქვენ კარგად მოუვლიდით ქალბატონო. მაგრამ შინ მომკლავენ, ხელცარიელი რომ დავბრუნდე.

ქალი გაშტერებით უყურებს:

— რამდენი გსურს ამ უბედურ, პატარა ძაღლში?

— ცოტა. სულ 40 პიესო.

— როგორ არა გრცხვენია, უბედური ცხოველის მეშვეობით გსურს გამდიდრება? 30 პიესოს მოგცემ და ამით დავამთავროთ ეს კომედია.

ტორიბიო ფულს იღებს, ხელები უკანკალებს. ამდენი ფული მას არასდროს ჰქონია, ცოტა და—იგი მოჰკურცხლავს კიდეც. მაგრამ მომავალ მსახიობს წინასწარ მოფიქრებული გეგმა აგონდება. ძაღლს საბელს ხსნის. ქალი გაკვირვებულია.

— საბელი სხვისაა, მეზობელმა მათხოვა. უნდა დავუბრუნო,— განუმარტავს ტორიბიო.

ტორიბიო ნელა მიდის, ხელები უკანკალებს. ჯიბის ქურდივით ძლივს იკავებს გაქცევის სურვილს. მომავალმა მსახიობმა მრავალი რამ განიცადა ნამდვილად: მწუხარება და სიხარული, შიში და რწმენა საკუთარი თავისადმი. შინ დაბრუნებისას სხვენზე ადის, ფიქრობს. რა უთხრას ძაღლის პატრონს. მთავარია დაწყებული გეგმის განხორციელება. იღებს საბელს და მიემართება ქალბატონ ბესერისაკენ, რომელიც, თითქოს ვიღაცას ელოდებაო, კარების წინ დგას. ტორიბიოს ხახა უშრება, მაგრამ მაინც მიდის, არ ჩერდება, უახლოვდება კარებს და აღელვებით ამბობს:

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო.

— რა მოხდა?—საჩქაროდ კითხულობს მოხუცი.

— საბელი, ქალბატონო... საბელი მოვიტანე,—ბუტბუტებს ტორიბიო და შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებს.

— ჰო... საბელი... პუკის მოხსენი... მესმის, მესმის, ძაღლი გაგექცა, არა?— ამბობს მოხუცი და ცდილობს გაიგოს რა მოხდა.

— დიახ, გაიქცა. ვეძებე, ვეძებე. კინაღამ ჭკუიდან შევიშალე, მაგრამ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერსად ვერ ვიპოვე, გეფიცებით, ქალბატონო.

— ჩემი ბრალია, — გააწყვეტინა სიტყვა მოხუცმა. — მე თვითონ გითხარი საბელი მოგეხსნა, რომ ძაღლს ცოტა ერბინა.

მოხუცი შეჩერდა, სახე უეცრად გაუნათლდა და დაუმატა:

— ძაღლმა გზა გამოაგნო, დაბრუნდა. რა ბედნიერებაა! ხომ მართალია? — შემდეგ მიბრუნდა ოთახისაკენ და დაიძახა — პუკი... პუკი... — პუკი ისარივით გამოქანდა და ისე მოუალერსა ტორიბიოს, თითქოს ძველ, დაკარგულ მეგობარს მოულოდნელად შეხვდაო. ტორიბიოს თავი სიზმარში ეგონა. ალბათ პუკი გამოექცა იმ ქალს, რომელმაც ოცდა-



— აიღეთ ფული, ქალბატონო, და ჩვენი ძაღლი დაგვიბრუნეთ.

ათი პიესო მისცა. აი, ჭკვიანი ძაღლი. ჩვენ ორივე მსახიობის ნიჭითა ვართ დაჯილდოებული.

— ბედნიერებაა, ბედნიერებაა, ქალბატონო. — ეალერსება ტორიბიო ძაღლს. აღელვებისაგან ბიჭს ხმა უწყდება. აკანკალებული ხელებით ძაღლს გულში იკრავს და ჰკოცნის. ეს ყველაფერი მოხუცზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი ტორიბიოს ფულით აჯილდოებს. ტორიბიო ერთხელ კიდევ შეხედავს ძაღლს, იხდის მადლობას და მიდის.

— მოითმინე, ტორიბიო, — უყვირის მოხუცი.

— გისმენთ, ქალბატონო.

— ის რაც მოხდა...

— მე ძალზე ვწუხვარ, ქალბატონო.

— ვიცი, ვიცი, ნუ ინაღვლებ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ხვალ... — მოხუცს ენა დაება და წინადადება ძლივს დაამთავრა:

— ხვალ შეგიძლია ძაღლი გაასეირნო... მაგრამ ფრთხილად იყავი, კარგად უყურე.

მეორე დღეს ტორიბიომ გადაწყვიტა მოედნისაკენ არ წასულიყო, რომ პუკის მყიდველ ქალს არ გადაჰყროდა. ძალზე ცხელოდა. ტორიბიომ ლუდხანაში შეიარა, ჯიბეში ოცდაათი პიესო ეგულებოდა და თავი მდიდარი ეგონა. ძაღლი მაგიდაზე მიაბა, ლუდი, მოითხოვა და ჭამას შეუდგა. ძაღლი ჭკვიანი თვალებით მისჩერებოდა ტორიბიოს პირს და ოფიციანტის მიერ დაყრილ ნაყარ-ნუყარს მიირთმევდა. ტორიბიო ფიქრობდა: როგორც ჩანს, ქვეყანაზე არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავისთავს ატყუებენ და ამაში ფულს იხდიან. იმ სულელებს ძალიან უყვართ ძაღლები, ეალერსებიან და ამ ახირებისათვის უამრავ ფულს ანიავებენ. საჭიროა ტორიბიომ კარგად მოუაროს ძაღლს, სანამ ახალ სათავგადასავლო რამეს წააწყდება. ბიჭს გაახსენდა ძაღლის პატრონი, რომელიც არავითარ სიმპატიას არ გრძნობდა ტორიბიოსადმი. მას მხოლოდ თავისი ძაღლი უყვარდა. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენში ასევე უყვარდეთ ბავშვები. გაბრაზებულმა ტორიბიომ ზიზღით შეხედა პუკს და ზეთისხილის ქერქი გადაუგდო. ძაღლმა ყურადღება არ მიაქცია, რადგან დამპალი ხორცის ჭამით იყო გართული. შემდეგ ტორიბიომ ფული გადაიხადა, ძაღლი პატრონს მიუყვანა, საჩუქრად კვლავ პიესო მიიღო და ბურთის სათამაშოდ გაემართა.

მეორე დღეს მოხუცი ბებერი ტორიბიოს დაღვრემილი შეხვდა.

— პუკი ავადაა. გაუგებარია, რა დაემართა.

ტორიბიო შეწუხდა. ავადმყოფის ნახვის ნებართვა ითხოვა. მოხუცმა ხეხილიან ეზოში შეიყვანა. აქ, ცისფერ ოთახში ლოგინზე წამოწოლილი ავადმყოფი ძაღლი იმყოფებოდა. ოთახი მდიდრულად იყო მორთული. კედელზე ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმული ნახატები ეკიდა. ძაღლმა თავისი მეგობარი იცნო, თავი მაღლა ასწია, კუდი ოდნავ გააქნია, შემდეგ ბალიშზე უღონოდ დაეცა.

— რა დაემართა?

— რიღაცით მოიწამლა!

ტორიბიოს მოაგონდა, როგორ მიირთმევდა პუკი ნაყარ-ნუყარს ლუდხანაში და მწუხარედ გააქნია თავი.

— ნუ დარდობ. ამით ვერაფერს უშველი. აი, მოვა ექიმი და ყველაფერი რიგზე იქნება.

მეორე დღეს პუკი კვლავ ავად იყო. ტორიბიომ შეწუხებული ადამიანის როლის გათამაშება გადაწყვიტა და იმ ქალის სახლს მიადგა, ვინც პუკი ოცდაათ პიესოდ იყიდა. კარი მოახლემ გააღო. დახეულ ტანისამოსში გამოწყობილი ბავშვი რომ დაინახა, კარის მიჯახუნება გადაწყვიტა, მაგრამ ტორიბიომ დაასწრო და თხოვა ქალბატონისათვის მოეხსენებია — ძაღლის პატრონი გეახლათო.

— აჰ... — წამოიყვირა მოახლემ და ბავშვი მისაღებ ოთახში შეიყვანა. ერთი წუთის შემდეგ საშინაო ხალათში გახვეული, გაბრაზებული ქალბატონიც გამოვარდა.

— რატომ მოხვედით აქ?

—უკაცრავად, რომ გაწუხებთ, ქალბატონო, მაგრამ სახლიდან გამომაგდეს, ძაღლი მოიყვანეო. უიმისოდ მოწყენილნი ვართ. დაგიბრუნებთ ფულს და...

ახალგაზრდა ქალი უნდობლად უყურებდა. ტორიბიომ სულელური გამომეტყველება მიიღო და ფული გაუწოდა.

— აიღეთ ფული, ქალბატონო, და, ძალიან გთხოვთ, ჩვენი ძაღლი დაგვიბრუნოთ.

ყოველივე ეს წარმოთქმული იქნა ისეთი დამაჯერებელი მსახიობური ოსტატობით, რომ ქალი დაიბნა, ტორიბიოს თვალი ვერ გაუმართა და ისე წარმოსთქვა:

— გაიქცა.

— როგორ შეეძლო გაქცევა იმ უბედურს, — საკმაოდ შეუპოვარი ხმით წარმოსთქვა ტორიბიომ.



ძაღლი დამპალი ხორცის ჭამით იყო გართული.

ბრძოლა მოგებული იქნა და ფული კვლავ ტორიბიოს ჯიბეში აღმოჩნდა.

— სანამ ქუჩაში ვიყავით, კმაყოფილი იყო, კუდსაც აქნევდა: როგორც კი შინ მოვიყვანე, გაიქცა.

— მერედა გაზეთში განცხადება არ გამოაქვეყნეთ?

— არა, მე მეგონა, რომ ძაღლი თქვენთან დაბრუნდა.

— არა, არ დაბრუნებულა.

ტორიბიო გრძნობდა, რომ მოსაზრების უნარი აღარ შესწევდა. ამ მდგომარეობიდან თვით ქალმა გამოიყვანა.

— რასაკვირველია, გზას ვერ გაიგნებდა, რადგან, როგორც მახსოვს, თქვენ ძალიან შორს ცხოვრობთ.

— დიახ, დიახ, — დაუდასტურა ბავშვმა და ადრინდელი ტყუილი მოაგონდა. ახლა უფრო ძლიერ დარწმუნდა თავის ნიჭში და წარმოსთქვა:

— არიან ისეთი გაიძვერები, რომელნიც ჯიშიან ძაღლებს იპარავენ და შემდეგ მასში ჯილდოს თხოულობენ.

— თუ გაზეთში არ გამოვაცხადეთ?

— მაშინ გაჰყიდიან ძაღლს, ან არა და, — განაგრძო ტორიბიომ აკანკალებული ხმით, — მოჰკლავენ.

შეშინებულმა თანამოსაუბრემ პირი დააბჩინა.

— თქვენ თავად განსაჯეთ, ქალბატონო, რა უაზრობაა ჯერ მოიპარო და შემდეგ კი მოჰკლა.

— როგორ მოვიქცეთ?

— თავად არ ვიცი, მთავარი ისაა, რომ ძაღლი მე არ დამიკარგავს, — გადაუკრა ტორიბიომ.

ქალი ცოტა ხანს დაფიქრდა.

— თუ ძაღლი ვიპოვეთ, ჩემი იქნება?

— რასაკვირველია, თქვენ ხომ ფული გადაიხადეთ.

— შესანიშნავია. ხვალვე გაზეთში გამოვაცხადებ.

— სწორია, სწორი. მთავარია არ დააყოვნოთ. მე კიდევ რაღაც მინდოდა მეკითხა.

— სახელდობრ რა?

— თუ ღვთის ნება იქნება და პუკი ვიპოვეთ, შეიძლება მის სანახავად მოვიდე?

ქალი შეყოყმანდა.

— კვირაში ერთხელ მაინც, — იხვეწებოდა ტორიბიო.

— რას იზამ, რაკი ასე გიყვართ, მოდით. შეგიძლიათ ხანდახან გაასეირნოთ კიდეც.

ტორიბიომ რამდენჯერმე მოახსენა მადლობა და შინ წავიდა, სადაც ერთი ჰიქა რძე და გამხმარი პური ელოდებოდა.

— ბიძა არ დაბრუნებულა სამსახურიდან?

— იყო და რკინეულობის დუქანში წავიდა.

ტორიბიოს მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ ბიცოლამ თვითონვე განაგრძო:

— ბიძაშენისთვის ქარხანაში უთქვამთ, რომ კავეულობის დუქანში შეგირდებს ეძებენო. ახლა სათხოვნელად წავიდა, რომ შენ მოგაწყონ.

ტორიბიო გამხმარ პურს ღოღნიდა.

— რად სდუმხარ?

ტორიბოიმ არაფერი უპასუხა, სწრაფად მოსვა რძე, ბიცოლას გამოემშვიდობა და „არსენალში" ფეხბურთის სათამაშოდ გაიქცა. თამაში დაღამებამდე გაგრძელდა და არც დამთავრდებოდა, რომ პირულოს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის დროს ბურთი ლუდხანის ტერიტორიაზე არ გაეგზავნა. გაოფლიანებული, დაღლილი ბავშვები ეზოს კუთხეში შეიკრიბნენ.

— გვიმღერე რამე, ტორიბიო.

— გამოაჯავრე მსახიობ გარდელს.

ტორიბიოს სულაც არ ემღერებოდა, იგი დაკვირვებით აჰერდებოდა ხან პირულოს და ხან გარიბალდს, რომელ მათგანს შეეძლო დახმარებოდა? პირულო აირჩია — ის უმცროსი იყო და ტორიბიოს პატივსა სცემდა. გარიბალდი კი თავისებური ხასიათისა იყო.

— ცოტა გამაცილე, პირულო.

მეგობარი ტორიბიომ სასადილოში შეიყვანა.

— მოითხოვე რაც გინდა.

ისინი დასხდნენ.

— მე შენი დახმარება მჭირდება პირულო, მაგრამ ჯერ დედა უნდა დაიფიცო, რომ რასაც გაიგებ, არავის ეტყვი.

— კრინტს არ დავძრავ.

ამის შემდეგ ტორიბიომ თავისი გეგმა გადაუშალა. პირულო წავა „ქალბატონთან", რომელიც ლას-ერას მოედანზე ცხოვრობს, და გაიგებს — გაგზავნა თუ არა განცხადება გაზეთში, შემდეგ კი ძაღლს მიუყვანს.

— რომელ ძაღლს?

— ჩვეულებრივს, მეზობლის ქეციან ძაღლს. რას იტყვი ამაზე?

— შესანიშნავი ლიქიორი იყო, წყალი მომაწყურა. ფული კიდევ გაქვს?

— რად გინდა?

— მინდა ცივი ლიმონადი შეუკვეთო.

— სიამოვნებით, მაგრამ ჯერ მითხარი, ღებულობ ჩემს წინადადებას?

— ვღებულობ.

ტორიბიომ ლიმონადი მოატანინა, შემდეგ ფული გადაიხადა. ბავშვები ერთმანეთს ქუჩაში გამოემშვიდობნენ. ტორიბიოს მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ პუკი ორი დღეა არ ენახა.

ტორიბიო მეზობლის ბინას მიუახლოვდა. ზარი დარეკა. კარები თვით ექიმმა ბესერმა გააღო.

— თქვენი და სახლშია? — შეეკითხა ბავშვი.

— გუშინ ერთ დოყლაპია ვეტერინარს პუკი ხელში შემოაკვდა, რის გამოც ჩემი და ავად გახდა.

ტორიბიო გაფითრდა, კარებს ხელი მოსჭიდა, რომ არ წაქცეულიყო.

— რა იყო, ბიჭიკო? რა მოგივიდა?

— არაფერი, ექიმო, ეს ისე, ავღელდი, ახლა უკეთ ვგრძნობ თავს.

— ნერვიული ყოფილხარ!

— მე თქვენი ძაღლი მშობლებს მერჩივნა, ისე მიყვარდა.

— ვხედავ. ასეთი აღელვება არ არის საჭირო.

ტორიბიო ოღრო-ჩოღრო ნაბიჯით მიდის, იღიმება, დარწმუნებულია თავის მსახიობურ ნიჭში და გულში ამბობს: „მილიონერებო, როცა გავიზრდები, მე გადაგაჩვევთ ღარიბ ბავშვებისადმი სიძულვილს".

ესპანურიდან თარგმნა ბორის მირცხულავამ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გულკეთილი და მოშურნე

(ყირგიზული ზღაპარი)

ერთხელ ორი კაცი ერთად მოგზაურობდა, ერთი მათგანი გულკეთილი იყო, ხოლო მეორე—მოშურნე. მალე მათ საზრდო გამოელიათ.

— ჰოი, კეთილო ადამიანო, ჩვენ ხომ საზრდო გამოგველია. მოდი, შენი ცხენი დაკალი; როცა ხორცი გაგვითავდება, მე დავკლავ ჩემს ცხენს,— უთხრა მოშურნემ გულკეთილს. მაგრამ, როდესაც ხორცი გაუთავდათ, მოშურნე უცებ გაიპარა, მიატოვა თანამგზავრი.

გულკეთილმა კაცმა მდინარის ციცაბო ნაპირას მდებარე გამოქვაბულს მიაღწია, შიგ შევიდა და დასასვენებლად წამოწვა. უცბად გამოქვაბულში მოისმა ვეფხვის, თეთრი ფოცხვერისა და მგლის ხმა.

მგელმა თქვა:

— არ შეგიტყვიათ? ხანის ქალიშვილი ძლიერ ავად გამხდარა. მე მოვარჩენდი მას, ვიცი საიდუმლოება. ხომ გინახავთ, მეცხვარე რომ მდელოზე ცხვრის ფარას აძოვებს, იმ ფარაში ერთი თეთრი ცხვარია; მას რომ ღვიძლი ამოაჭრა და ხანის ქალიშვილს აჭამო, უმალ გამოჯანმრთელდება.

— მეც გაგიზიარებთ ჩემს საიდუმლოს,—თქვა ვეფხვმა,—აქვე ახლოს უპატრონოდ მიტოვებული მიწურია. შიგ ცხენის თავისოდენა ოქროს ზოდი დევს.

უცბად თეთრმა ფოცხვერმა წამოიძახა:

— ჩვენ თუ ახლა ვინმე გვისმენს, მთელ საიდუმლოებას გაიგებს. უმჯობესია წავიდეთ აქედან.

მხეცები წავიდნენ. გულკეთილი გამოძვრა გამოქვაბულიდან, მოძებნა მიწური და გამოიტანა ოქროს ზოდი, შემდეგ გაეშურა და მეცხვარისაგან იყიდა თეთრი ცხვარი. დაკლა, ამოაცალა ღვიძლი, გააშრო და გასწია ხანისაკენ. გზაზე მას მქადაგებლის ხმა მოესმა:

— ხანის ქალიშვილი მძიმე ავადმყოფია! ვინც მას მოარჩენს, ხანი თავის შვილს ცოლად გააყოლებს!

— მე მოვარჩენ ხანის ქალიშვილს,— განაცხადა გულკეთილმა.

მივიდნენ ავადმყოფთან. გულკეთილმა ჯამფილაში დანაყა გამომშრალი ღვიძლი, შეაჭამა ქალიშვილს. ავადმყოფი მაშინვე გამოჯანმრთელდა და ცოლად გაყვა გულკეთილს.

ერთ მშვენიერ დღეს გულკეთილთან მივიდა მოშურნე და ჰკითხა:

— თქვი, კეთილო ადამიანო, როგორ მოახერხე ხანის ქალიშვილის ცოლად შერთვა?

გულკეთილმა ყველაფერი უამბო.

მოშურნე შურით აივსო და გადაწყვიტა თვითონაც მიეღწია ამისათვის. წავიდა, იპოვა მდინარის ციცაბო ნაპირთან მდებარე გამოქვაბული, შევიდა შიგ და გაინაბა. აი, გამოჩნდნენ ვეფხვი, თეთრი ფოცხვერი და მგელი.

— ვიღაცამ გაიგო ჩვენი საიდუმლოება და თეთრი ცხვარი მოიტაცა, — დაიღმუვლა მგელმა.

— ჩემი ოქროს ზოდიც გაუჩინარდა,—თვალების მრისხანე ელვარებით წარმოსთქვა ვეფხვმა.

— ადამიანის გარდა სხვა ვერავინ მოგვისმენდა!—წამოიძახა თეთრმა ფოცხვერმა,—მოდით და ვნახოთ ჩვენი გამოქვაბული, ვინმე ხომ არ იმალება შიგ.

სამივე შეუდგა ძებნას.

თეთრმა ფოცხვერმა ბნელ კუთხეში მიმალული მოშურნე შენიშნა. ვეფხვი, მგელი და თეთრი ფოცხვერი ეცნენ მოშურნეს და სულ ნაგლეჯ-ნაგლეჯებად აქციეს.

აი, რა დაიმსახურა მოშურნემ— იგი მხეცების ლუკმა შეიქნა. გულკეთილი კი ცხოვრობდა ბედნიერად ღრმა მოხუცებულობამდე.

თარგმნა
**ნ. თოფჩიშვილმა**

**ნახ. გ. ფოცხიშვილისა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცით თუ არა?

რომ თბილ ქვეყნებისაკენ გადაფრენისას ზოგი ფრინველი დღისით ფრენს, ზოგი ღამით. ფრინველები, რომლებიც მწერებით იკვებებიან, ღამით ფრენენ, ხოლო რომლებიც მარცვლეულით—დღისით; რადგან ამ უკანასკნელთ ღამით ფრენაში სავსე კუჭი უშლის ხელს.

რომ იაპონიაში დაბადების დღედ მიაჩნიათ არა ის დღე, როდესაც ნამდვილად დაიბადნენ, არამედ მომავალი წლის პირველი იანვარი, წლოვანებასაც ამ დღიდან ითვლიან.

რომ ბატი და იხვი უკეთ იტანენ სიცივეს ვიდრე თეთრი დათვი? ცხოველთა უდიდესი ნაწილი ხანგრძლივი ვადით მხოლოდ 45 გრადუს სიცივეს იტანს. თეთრი დათვი და სელაპი 80 გრადუსამდე სიცივეს იტანენ. ამ მხრივ რეკორდს მხოლოდ ბატი და იხვი ამყარებენ, რადგან ისინი 100 გრადუს სიცივეში სიცოცხლის ნიშანწყალს ინარჩუნებენ. 110-ზე კი ისინიც იღუპებიან.

რომ საბჭოთა მეცნიერებმა ფუტკრის გარკვეული გუნდის სპეციალურ კვებაზე გადაყვანით მიიღეს ისეთი თაფლი, რომელიც მედიკამენტებს შეიცავს. ეს—შაქრის, ხილის, ბოსტნეულის, ვიტამინებისა და ქინაქინის ბაზაზე 85 სხვადასხვა სახის თაფლის მიღებით მოხერხდა. ამ საქმეს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ავადმყოფი წამალს უფრო იოლად და სიამოვნებით იღებს.

რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე გავრცელებული ენებია: ჩინური, რომელზედაც 450 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს; ინგლისური, რომელზედაც დაახლოებით 235 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს; რუსული, რომელიც 200 მილიონ ადამიანს ემსახურება; ჰინდი და ურდუ, რომლებიც ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებიან და 150 მილიონ ადამიანს უწევენ მომსახურეობას; ესპანურ ენაზე 140 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს.

რომ ყოველ კილომეტრ რკინიგზაზე შპალების ჩასაწყობად, საჭირო ხდება 500-800-მდე ნაძვის მოჭრა. ამასთან, კარგად გაჟღენთილი შპალებიც კი მხოლოდ ცხრა წელს ძლებენ. რკინაბეტონის შპალები კი მარტო ტყეს კი არა ზოგავენ, არამედ შრომის ეკონომიასაც იძლევიან, რადგან მათი გამძლეობა 50 წლამდე ადის.



## გოლიათი გოგრა

ინათლებდა თუ არა, ბაბუა მიხეილი თბილად ჩაიფუთნებოდა, სახედარს შეაბამდა პატარა ურიკაში და ტყეში მიდიოდა. საღამოს დაბრუნდებოდა და თბილ ღუმელთან შვილიშვილებს ტყის ამბებს უყვებოდა. იგი ტყეში ხან ზღარბს ნახავდა, ხან კურდღელს, ხან მაჩვს. ერთხელ სახლში ხოხობიც კი მოიყვანა.

ბავშვები მოსვენებას არ აძლევდნენ ბაბუას — ტყეში წაგვიყვანეო. ბაბუა ყოველთვის უარზე იდგა. მხოლოდ გაზაფხულისათვის პირდებოდა მათ ტყეში წაყვანას.

დადგა ნანატრი გაზაფხულიც. აპრილის ერთ მოწმენდილ დილას ბაბუამ ბიჭები ურიკაზე დასვა და ტყისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. გზა ჯერ აყვავებული ალუბლისა და ტყემლების ხეივანს გაჰყვა. მერე მწვანედ მოციალე პურის მინდვრები განივად გადასჭრა და რამდენიმე ხნის შემდეგ გზა ამწვანებულ ტყეში ჩაეფლო.

ტყეში სადღაც კაკანებდა ხოხობი და ჩხაოდა ჯაფარა. გამხმარ ტოტებზე ჩუმად ჩამომსხდარიყვნენ შროშნები.

ბიჭებმა ყველაფერი თავისი თვალით ნახეს და მერე მთელი დღე ეხმარებოდნენ ბაბუას. ნატყევარზე ტრაქტორს მიწა მოეხნა. ბაბუა თოხით ამტვრევდა მსხვილ ბელტებს. ბიჭები კი კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ მას და ხნულში ლობიოსა და გოგრის თესლს ბუდნიდნენ.

ამის შემდეგ, ზაფხულის არდადეგებზე ზურიკო და გივი თითქმის ყოველდღე დაჰყვებოდნენ ბაბუას ყანაში: ხან წყალი მიჰქონდათ მისთვის, ხან ბალახს გლეჯდნენ საქონლისათვის და ხანაც პატარა თოხებით ყანის გამარგვლაში ეხმარებოდნენ მოხუცს. შუადღისას ერთად სადილობდნენ დიდი მუხის ჩრდილში. მერე ტკბილად ეძინათ მწვანე მოლზე.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის მოწინავე კოლმეურნე, მიხეილ კირვალიძე, ყოველწელს ამუშავებს სტახანოვურ ნაკვეთს. წლევანდელი ყანა იმით გამოირჩეოდა სხვებისაგან, რომ მის დამუშავებაში შვილიშვილებმაც მიიღეს მონაწილეობა. ამ ამბით დიდად იყო გახარებული ბაბუა. როცა მოსავლის აღება გადაწყვიტა, ბიჭები ისევ შემოისვა ურიკაზე და ყანაში წაიყვანა. ჩალას რომ ჩეხდნენ, ბიჭებმა ბარდებში უშველებელი გოგრა იპოვეს. ზურიკომ და გივიმ ბევრი უტრიალეს ამ ვეებერთელა ნაყოფს, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. როცა დაიღალნენ, ბაბუას დაუძახეს. სამოც წელს მიტანებული ბაბუა მიხეილიც კი გააკვირვა უზარმაზარი გოგრის დანახვამ. ნაყოფი მოწყვიტა და სხვა გოგრებთან ერთად ველზე დააგორეს. ნასადილევს მუშაობისაგან დაღლილმა ბიჭებმა დიდ გოგრაზე თავები მიდეს და გვის კიდევაც ჩაეძინა. ბავშვებს ძალზე ახარებდათ ის, რომ მათ მიერ დათესილმა თესლმა ასეთი დიდი ნაყოფი გამოიღო. მეორე დღეს, როდესაც ზურიკო და გივი სკოლაში დაბრუნდნენ, თანაკლასელებს გატაცებით უყვებოდნენ თავიანთ ყანაზე და იმ უზარმაზარ გოგრაზე, რომლის არსებობაც ზოგ ამხანაგს საეჭვოდ მიაჩნდა.

სტახანოვურ ნაკვეთზე ბაბუამ ორჯერ მეტი მოსავალი მიიღო, რისთვისაც მას პრემია მისცეს.

შემოდგომის ერთ საღამოს ბაბუამ სხვა ჭირნახულთან ერთად სახლში გოგრაც მოიტანა, იგი ოცდათხუთმეტ კილოგრამს იწონიდა.

ჯუმბა ნადირაძე.

თემაზე

## ნამი — ადამიანის სამსახურში

ვის არ უნახავს ზაფხულის ადრიან დილით ტყეში თუ მინდვრად, თითოეულ ბალახსა და ფოთოლზე აციმციმებული წყლის წვეთები, რომლებიც მარგალიტის მძივებს მოგვაგონებენ. ყველამ იცის, რომ ეს არის ნამი (ცვარი); მაგრამ თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ატმოსფერულ მოვლენას ბუნებისა და ადამიანისათვის, ყველამ როდი იცის სათანადოდ.

ნამი მცენარეთა სამყაროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ბევრი ბოტანიკოსის აზრით, მცენარეულობას განსაზღვრულ პირობებში შეუძლია იარსებოს იქ, სადაც არასდროს არ მოდის წვიმა, მაგრამ ვერცერთი მცენარე ვერ იხარებს ნამის გარეშე, თვით იმ ადგილებშიც, სადაც წვიმა ხშირი მოვლენაა.

წვიმა ყოველთვის როდი მოდის იმ დროს, როცა სიცხისაგან დაოსებულ მცენარეს განსაკუთრებით სჭირდება წყალი. წვიმის დედა ღრუბელია, ხოლო ღრუბელს კი ერთი ჭირვეული და თავნება ბატონი ჰყავს — ქარი. იგი სრულიადაც არ უგდებს ყურს ბუნებისა და ადამიანის ვედრებას, საითაც მოეპრიანება, იქეთ მიერეკება ღრუბლებს. შეიძლება ოკეანეზე კოკისპირულად წვიმდეს მაშინ, როდესაც დაგვალულ მიწაზე რად ღირს ერთი ბარაქიანი გაწვიმება!

და ნამიც სწორედ ყველაზე სიცხიან თვეებში ეცემა მიწას და მცენარეებს დაუფასებელ მხსნელად ევლინება.

მეცნიერებმა მრავალრიცხოვანი ცდებით დაადგინეს, რომ მცენარე ნამს გაცილებით უკეთესად ითვისებს, ვიდრე წვიმის წყალს. ღამით ნამის ნაწილს მცენარის ფოთლები ნთქავს, ნაწილი კი მსხვილ წვეთებად ღეროს ჩაყვება ხოლმე და ფესვებთან ჩაიჟონება. ასე რომ, მცენარე ნამს ძალზე წესიერად, წყლის ყოველგვარი ზედმეტი ხარჯვის გარეშე სვამს. ამიტომ 250 მილიმეტრ ნამს წელიწადში მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე 750 მილიმეტრ წვიმის წყალს.

მაგრამ მარტო მცენარეები როდი მიირთმევენ ნამის წყალს. არსებობს ერთგვარი იისფერი მცენარე, რომლის ღეროზეც ფოთლები წყვილ-წყვილად — ერთმანეთის პირდაპირ იზრდება. ქვემოთ ფოთლები ერთმანეთს ისეთნაირად უერთდებიან, რომ იქმნება პატარა ღარი, რომელშიაც ნამი მოწანწკარებს. დიდი ხანია ამ მცენარეს პოეტური სახელი შეარქვეს: «ვენერას აბაზანა» ანდა «ჩიტების დუქანი». მართლაც ჩიტებსა და მწერებს უყვართ ამ «დუქნების» მონახულება, სადაც შეიძლება გადაჰკრა ერთი «ჭიქა» დილის კამკამა ნამი.

არა მარტო მცენარეები და ჩიტები სვამენ ნამს. ანგოლისა და მადაგასკარის მკვიდრნი გვალვების დროს სასმელად ნამის წყალს აგროვებენ. ყირიმის მცხოვრებლებიც იყენებდნენ ნამს. 1888 წელს ფეოდოსიას მიდამოებში აღმოაჩინეს წყალგაყვანილობის მთელი სისტემა, რომელიც 114 საზოგადოებრივი სარგებლობის შადრევანს აწვდიდა წყალს. გამოირკვა, რომ მილებში ჩვეულებრივი წყლის მაგიერ ნამის წყალი მიედინებოდა, დღეში რამდენიმე ათასი ლიტრის რაოდენობით. მილები კირქვის გორახებისაგან შექმნილ პირამიდებიდან იყო გამოყვანილი.

დიდია ნამის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში. მეცნიერები მუშაობენ იმის დასადგენად, თუ სად ეცემა ყველაზე უხვად ნამი, რაზეა დამოკიდებული მისი ძალა, როგორ ჩააყენონ იგი მთლიანად ადამიანის სამსახურში.

# რატომ ვამბობთ ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს

ამ გამოთქმის აზრი ასეთია: არ შეიძლება განზოგადოება ერთი შემთხვევისა, ან დასკვნის გამოტანა ერთი რომელიმე უმნიშვნელო ფაქტიდან.

გამოთქმა უკავშირდება ძველ ბერძენ იგავთმწერალს ეზოპეს. (ჩვენს ერამდე VI საუკუნე). კრილოვმა ეზოპეს სიუჟეტის მიხედვით დასწერა იგავი. იგავში მოყოლილია, თუ როგორ გაფლანგა ერთმა უქნარამ მთელი საცხოვრებელი, ბოლოს ერთი ქურქიღა დარჩა, მაგრამ მერცხალი რომ დაინახა, იფიქრა გაზაფხული მოვიდაო და ისიც გაყიდა. დაიწყო ყინვები, სიცივემ მერცხალი გაყინა. მფლანგველმა რომ გაყინული მერცხალი ნახა — წყევლა დაუწყო, შენი იმედით შიშველი დავრჩიო.

### დონ კიხოტი

ეს სიტყვა იხმარება უშედეგო, სასაცილო გმირობის აღსანიშნავად. ამის გარდა დონ კიხოტობა სხვის დახმარებას, სხვისთვის თავდადებასაც ნიშნავს.

გამოთქმა დიდი ესპანელი მწერლის სერვანტესის რომანის — «დონ კიხოტის» გამოქვეყნების შემდეგ შემოვიდა ხმარებაში. რომანის მთავარი გმირი დონ კიხოტი მეოცნებე ადამიანი იყო. თავისი წარმოდგენით მან შექმნა ფანტასტიური სამყარო და მთელი სიცოცხლე და ენერგია მის მიერვე მოგონილ წინააღმდეგობების გადალახვას მოანდომა.

სერვანტესის «დონ კიხოტიდან» მოდის ორი სხვა გამოთქმაც: «ქარის წისქვილებთან ბრძოლა» და «მწუხარე სახის რაინდი», რომელსაც დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს.

### ანტენა

ახალი საგნებისა და მოვლენებისათვის ახალი სახელები ხშირად ძველი სიტყვებიდან იქმნება (უმეტეს შემთხვევაში ბერძნული ან ლათინური ენებიდან) და მათ ახალი მნიშვნელობა ენიჭება.

ასე დაემართა სიტყვა «ანტენას».

პირველი მიმღები ანტენა 1895 წელს იქნა გამოგონილი რუს ინჟინერ პოპოვის მიერ. ამ სიტყვას კი ორი ათასი წლის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ რადიოს დაბადებამდე, ანტენას ცხოველთა ბუსუსა ულვაშებს უძახდნენ ბიოლოგები, ამაზე წინ კი, «ანტენა» რომაელ მეზღვაურთა ტერმინი იყო. დიდი ზომის გემებს იმ დროს ერთი საკმაოდ მაღალი ანძა ჰქონდათ ხოლმე, ამ ანძაზე ასულ ადამიანს, რომელიც გარემოს უთვალთვალებდა, რომაელები «ანტენას» უწოდებდნენ.

### ნიანგის ცრემლები

გადატანითი მნიშვნელობით — მოჩვენებითი, არაგულწრფელი წუხილი. ამას იმ ადამიანზე ამბობენ, ვინც საქმეს შეგნებულად გააფუჭებს, ან ვინმეს დაღუპავს, შემდეგ კი გულისწუხილს გამოთქვამს, მოჩვენებით ცრემლს ღვრის.

ძველ დროში ნიანგი ღვთაებად ითვლებოდა, მასზე ბევრი ფანტასტიური აზრი იყო შექმნილი. ძველი ბერძენი ბიოლოგი ელიანი, მაგალითად, ჰყვება, რომ როდესაც ნიანგი თავის მსხვერპლს ჰყლაპავს, თან დასტირის მას, თვალებიდან ცრემლებს აფრქვევსო.

# გამოჩენილ ადამიანებზე

რუს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს პირად ცხოვრებასა და შემოქმედებით მოღვაწეობაში ბევრი საინტერესო თვისება და თავისებურება ახასიათებდათ.

დიდ მოიგავარაკე ივანე ანდრიას ძე კრილოვს განსაკუთრებით უყვარდა ძილი. იგი იშვიათად წერდა: წელიწადში ხუთ-ექვს იგავ-არაკს თუ დაწერდა. მიუხედავად ამისა, მან ორასზე მეტი იგავი დაწერა. აქედან 130-ზე მეტი ორიგინალური იყო.

რუსული ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელი, გენიალური მწერალი ალექსანდრე სერგის ძე პუშკინი თითქმის ყველა შესანიშნავ თვისებას ამჟღავნებდა. მიუხედავად არისტოკრატული წარმოშობისა და აღზრდისა, მას ძალიან უყვარდა ხალხი, მისი სიტყვიერება. იგი ხშირად უბრალო ტანსაცმელს გადაიცვამდა და ისე დადიოდა ხალხში, აგროვებდა და სწავლობდა ხალხურ გადმოცემებსა და ლექსებს.

პუშკინს ჩვეულებად ჰქონდა რამდენიმე ნაწარმოებზე ერთსა და იმავე დროს ემუშავა. მაგალითად, „ევგენი ონეგინზე" მუშაობის დროს ერთდროულად ისტორიულ ტრაგედია „ბორის გოდუნოვსაც" წერდა.

პუშკინი ზოგიერთ ნაწარმოებს უმოკლეს დროში წერდა. დიდი ისტორიული პოემა „პოლტავა" ორ-სამ დღეში დაწერა.

დიდ მწერალს გამომუშავებული ჰქონდა ჩვეულება, რომ ყველაფერი ადგილზე შეესწავლა, სადაც მისი გმირების ცხოვრება და მოქმედება მიმდინარეობდა. 1833 წელს პუშკინმა ყაზანსა და ორენბურგში იმოგზაურა, დაათვალიერა და შეისწავლა მისთვის საჭირო ადგილები და მასალები და შემდეგ დასწერა შესანიშნავი ნოველა „კაპიტანის ქალიშვილი" და „პუგაჩოვის ისტორია".

პუშკინს ჩვეულებად ჰქონდა ლიტერატურული თემებით დახმარებოდა მეგობარ მწერლებს. მან თავის „ევგენი ონეგინიდან" ამოიღო მერვე თავი და გოგოლს გადასცა. ასევე გადასცა მასვე თემა „რევიზორისათვის".

რუსული კლასიკური პოეზიის დამამშვენებელი მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი განსაკუთრებული თვისებების მქონე მწერალი იყო.

ლერმონტოვს წესად ჰქონდა სურათებად დაეხატა თავის ნაწარმოებთა გმირების მოქმედების ადგილები და შემდეგ დაეწერა თავისი დიდებული ნაწარმოებები; მაგალითად, მწერალმა პოემა „მწირის" გმირების მოქმედების ადგილი დახატა საქართველოში მდინარე არაგვის ხეობაში; ხოლო „დემონის" გმირების სამოქმედო ადგილად დახატა არაგვის ხეობაშივე მდებარე სოფ. ხატის-სოფლის სანახები, მისი ისტორიული ციხე-სიმაგრეები და კოშკები.

ლერმონტოვი წერდა ყოველთვის, როდესაც მას საამისო დრო დაუდგებოდა. მან განთქმული „კაზაკური იავნანა" ქალაქის [illegible]-წებზე დაწერა იმ დროს, როდესაც კაზაკი ქალი დაინახა, [illegible] ბავშვს უმღეროდა. ამ დროს, აქვე, ამავე ოთახში თვით მწერლის ბარგს ეზიდებოდნენ, გარედან შინ შემოჰქონდათ.

ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლისათვის ლიტერატურული თემების გამონახვა ერთგვარ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. თავის უკვდავი „მკვდარი სულებისათვის" მწერალმა გამოიყენა პუშკინის მიერ გადაცემული, „ევგენი ონეგინიდან" ამოღებული ერთი თავი. პიესა „რევიზორისათვის" ასევე გამოიყენა პუშკინის მიერ მიცემული თემა.

გოგოლს ჩვეულებად ჰქონდა, თუ კი თავის რომელიმე ნაწარმოები არ მოეწონებოდა, მაშინვე ბუხარში შეუძახებდა. გოგოლმა „მკვდარი სულების" მეორე ტომი სამჯერ დაწერა და ბოლოს დასწვა. ასევე ცეცხლს მისცა თავის „იდილიაც".

ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვი პირად ცხოვრებაში მეტად ცვალებადი ხასიათისა იყო. გადმოგვცემენ, რომ ზოგჯერ მთელ დღეს სრულ დუმილში ატარებდა. ხოლო ზოგჯერ კი, რაიმე გარკვეული მიზეზის გარეშე, სახე უცბად გაუბრწყინდებოდა და ალაპარაკდებოდა. იგი არაიშვიათად მთელი საღამოობით როიალს უჯდა. კლავიშებთან ვინმეს ახლოს მისვლას ვერ იტანდა, ეს მასში გაღიზიანებას იწვევდა.

გრიბოედოვს უყვარდა მარტოობის ჟამს ბოლთის ცემა და ნაწარმოების ხმამაღლა კითხვა. მწერალი თავის ერთ მეგობარს წერდა „პოეტურ მუშაობას ვანდობ მარტოოდენ კედლებს, მათ ხანდახან ვუკითხავ ან საკუთარ ან სხვის ნაწარმოებებს, ხოლო ადამიანებს — არავის და არაფერს".

კაცობრიობის მხატვრული განვითარების ერთ-ერთი მედროშე ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი თავისებური რწმენის ადამიანი იყო. გადმოგვცემენ, რომ, განსაკუთრებით მოხუცებულობის დროს, მხოლოდ შვრიის ორცხობილას ჭამდა. ხორცსა და რძის ნაწარმს სრულიად არ ეკარებოდა.

ტოლსტოის ჩვეულებად ჰქონდა ღამის 12 საათზე, ვინც არ უნდა ყოფილიყო მასთან სახლში, ადგებოდა და დასაძინებლად წავიდოდა. დილით კი ადრე დგებოდა. ერთ ხანს სუფთა ჰაერზე სეირნობდა და შემდეგ მუშაობდა შუადღემდე. „სერიოზული წერა დღისით უნდა, როდესაც გონება დაღლილი არა გაქვსო"—ამბობდა თვითონ ტოლსტოი. სადილის შემდეგ კი მწერალი ჭადრაკის სათამაშოდ მიდიოდა ხოლმე.

ტოლსტოის ძალიან უყვარდა ბავშვები. იგი ყოველთვის ბავშვების გვერდით ჯდებოდა და აცინებდა. თავის ახლო მეგობრების ილია და ნინო ნაკაშიძეების შვილს მაკას სულ ესიყვარულებოდა და თან ეუბნებოდა: „უთუოდ, უთუოდ გესტუმრებით თქვენს მზიურ საქართველოში". მერე კიდევ აკოცებდა და ჰკითხავდა: „მაკა, გინდა გესტუმრო თბილისში? ჰო? მაშ, შევჯდები ველოსიპედზე და „ჩიკ, ჩიკ, ჩიკ,—ჩამოვალო".

ვ. სიდამონიძე

## ვიშ, ვხედავ, ვხედავ!

(ფრანგული ხალხური ლექსი)

— ვიშ, ვხედავ, ვხედავ! —
მერცხალი გალობს.
— ჩიტო, რას ხედავ?
— ბუნება ხარობს,
მე ვხედავ ბაღებს,
ველმინდვრებს მწვანეს,
ცქრიალა ბალღებს,
შრიალა ყანებს.



— ვიშ, ვხედავ, ვხედავ! —
მერცხალი გალობს.
— ჩიტო, რას ხედავ?
— ქვეყანა ხარობს,
ვხედავ და მარად
ლაჟვარდებს ვკვეთავ...
მე ზამთრის გარდა
ყველაფერს ვხედავ!

ფრანგულიდან თარგმნა დ. ცაგარელმა

# მოკლედ ყველაფერზე

## ამერიკელი ტარზანის «მეტოქე»

ცნობილ ამერიკულ კინოფილმ «ტარზანში» მთავარი როლის შემსრულებელ ჯონ ვაისმიულერს ამ ბოლო დროს «მეტოქე» გამოუჩნდა: მალაიის ჯუნგლებში ტყისმჭრელებმა იპოვეს ნამდვილი ტარზანი—6 წლის ბიჭი, რომელსაც თურმე მაიმუნები ზრდიან. ტყისმჭრელებმა განაცხადეს, რომ ბავშვი იმ დროს ნახეს, როდესაც მაიმუნი მას ბანანს აჭმევდა.

## გველის ფსევდონიმი

გარდა ადამიანისა, გველსაც აქვს თავისი ფსევდონიმი. ეს ფსევდონიმი მას ადამიანმა გამოუნახა. აღმოსავლეთ საქართველოში, როდესაც არ უნდათ გველის ხსენება, ამბობენ—«უხსენებელიო», დასავლეთ საქართველოში იტყვიან—«უნასიო». კაცი მაშინვე მიხვდება, რომ გველზეა ლაპარაკი.

## ოცი მილიონი წლის ნაშთი

ჩრდილოეთ ტაილანდის დაბა მე მოს ქვანახშირის საბადოს ფენაში შახტის მუშებმა ამას წინათ აღმოაჩინეს მეცნიერებისათვის მეტად საინტერესო ნაშთი—მასტოდონტის თავის ქალას ნაწილი—გაქვავებული დამტვრეული ყბა.

მასტოდონტი ხორთუმიანთა ჯიშის ძუძუმწოვარა ცხოველი იყო. იგი სპილოთა ოჯახს ეკუთვნოდა. ეს ცხოველი დაახლოებით ოცი მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა.

## სირაქლემები ცხვრის დარაჯებად

სირაქლემა წარმოუდგენელი შფოთისთავია, მუდამ ჩხუბსა და აყალმაყალს დაეძებს. მაგრამ, თურმე, მისი ხასიათის ამ უარყოფითი მხარით შეიძლება ისარგებლოს ადამიანმა. მაგალითად, პრეტორიაში (სამხრეთ აფრიკა), მეცხვარეები სირაქლემებს ცხვრის ფარების დარაჯებად იყენებენ. ეს მებრძოლი ფრინველები თავგამოდებით ასრულებენ დარაჯის მოვალეობას. ისინი არამარტო თავს ესხმიან საძოვართან ახლოს მისულ გამვლელებს, არამედ ველოსიპედისტებსა და მანქანებსაც კი დაედევნებიან ხოლმე. და ვაი მისი ბრალი, ვისაც ხელთ იგდებენ!—გაავებული სირაქლემა თავის მსხვერპლს უმოწყალოდ სცემს ღონიერი ფეხებით, კორტნის მძლავრი ნისკარტით.

კარგა ხანია, სირაქლემების შიშით პრეტორიაში ცხვრის გამტაცებელთა ჭაჭანებაც არაა.

## უდიდესი ცხოველები

გიგანტური ცხოველები დედამიწის ზურგზე ჯერ კიდევ 300-350 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ. ამ ცხოველების სიგრძე 68 მეტრამდე აღწევდა. 200-220 მილიონი წლის წინათ კი ყველაზე დიდი ცხოველები უკვე 30-მდე მეტრის სიგრძისა და 80-მდე ტონის სიმძიმის დინოზავრები იყვნენ.

მაგრამ, ყველა დროის უდიდეს ცხოველად მაინც დღევანდელი ვეშაპი ითვლება. უდიდესი ვეშაპი სიგრძით 33 მეტრი და წონით 125 ტონაა, ეს 125 სპილოს, ან 150 ხარის წონას უდრის. დიდი ვეშაპის გული 800 კილოგრამამდე იწონის, ესე იგი იმდენივეს, რამდენსაც მოზრდილი ცხენი.

## უნიკალური მოდელი

მეოცე საუკუნის დასაწყისში ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე მყვინთავმა მონადირემ მზის სისტემის მოდელი იპოვა.

დღემდე კაცობრიობას მზის სისტემის ეს მოდელი წარსულის მხოლოდ საყურადღებო რელიქვიად მიაჩნდა. ბოლო ხანს ამ იშვიათმა ექსპონატმა ცნობილი მეცნიერის დერეკ პრაისის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად მეცნიერმა დაადგინა, რომ მზის სისტემის მოდელი ორი ათასი წლისაა. პრაისმა განაცხადა თურმე: ეს მოწმობს იმას, რომ ძველ საბერძნეთში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება გაცილებით უფრო მაღალ დონეზე მდგარა, ვიდრე XVIII საუკუნის ევროპაშიო.

## კეტჩი

დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში დიდად არის გავრცელებული ჭიდაობისა და კრივის ნარევი სპორტი—კეტჩი. ვისაც გინახავთ ამასწინათ ჩვენს ეკრანზე გამოსული ინგლისური ფილმი «თიკანი ორ გროშად», გახსოვთ ალბათ თავგანწირული, ველური ბრძოლა რინგზე; სწორედ ის არის ინგლისსა და საფრანგეთში გავრცელებული კეტჩი.

ჭიდაობის დროს მოწინააღმდეგენი არაფრით ზოგავენ ერთმანეთს. ნებადართულია თითქმის ყოველგვარი ხერხი, მათ შორის ფეხის დარტყმაც. აზარტში შესული მებრძოლები ხანდახან რინგს გარეთაც კი ისვრიან ერთმანეთს და კეტჩის მსხვერპლი მაყურებელიც კი ხდება; ამის გამო მხოლოდ გამოუცდელი მაყურებელი თუ ჯდება კეტჩის საყურებლად წინა რიგებში.

მიუხედავად იმისა, რომ კეტჩის მატჩები ხშირად ადამიანთა ფიზიკური დამახინჯებით თავდება, მის აკრძალვას შედეგი არ მოჰყვა, რადგან კაპიტალისტური საქმოსნები ამ საქმეში დიდ ფულს იგებენ.

## ქიმია და ვიოლინო

XVI-VXIII საუკუნეებში იტალიის ქალაქი კრემონა შესანიშნავი ვიოლინოებით იყო განთქმული. ამ საქმის ოსტატები ამანტი, კვარნერი და სტრადივარი ფლობდნენ რაღაც საიდუმლოებას, რომელიც მათ ვიოლინოებს საოცარ ჟღერადობას აძლევდა.

გერმანელი მეცნიერი დიტმარი, რომელიც დიდ ხანს სწავლობდა კრემონის ოსტატთა ნახელავს, მივიდა დასკვნამდე, რომ ვიოლინოების არაჩვეულებრივი ხარისხი სპეციალური ლაქით არის მიღწეული. ამ ლაქის ქიმიურმა შესწავლამ დაადასტურა, რომ მასში საკმაოდ არის კაუჩუკის შემცველი ნივთიერებები. როდესაც სცადეს და ასეთი ლაქით უბრალო ხისგან დამზადებული ვიოლინო გაქლინთეს, საკრავი შესანიშნავად აჟღერდა.

კაუჩუკის ლაქით გაქლენთილი ვიოლინო დროთა განმავლობაში კიდევ უკეთესი ხდება, ამიტომ ასეთი ლაქით პიანინოს, გიტარებსა და ხის სხვა მუსიკალურ საკრავებსაც ქლენთავენ.

## მზრუნველი დედა

როცა ამ ფოტოს დასცქერით, უნებლიედ იფიქრებთ: სადაური მზრუნველობაა, დიდი თევზი პაწიებს ყლაპავს?!

სინამდვილეში იგი მეტად უწყინარი თევზია—ხაპლახრომისი. ასეთი თევზები ქვირითს ყბებში აგროვებენ გამოსაჩეკად. ინკუბაციის პერიოდი დიდხანს არ გრძელდება. სურათზე აღბეჭდილია იშვიათი მომენტი. პატარა ლიფსიტებმა საშიშროება იგრძნეს და დედის ღია ყბას მიაშურეს თავდასაცავად. გაივლის შიშიანობა და მზრუნველი დედა პირს გააღებს, პატარები ისევ გარეთ გამოეფინებიან.



# ქართული ხალხური სათამაშოები

**„უნდა შეეძლოს ოქტომბრელთა ჯგუფისათვის სიმღერის, ცეკვის სწავლება, ზღაპრის მოყოლა, მათი გასეირნება. ასწავლე მათ უბრალო სათამაშოების გაკეთება (ამორჩევით).“**

**(ნორჩი პიონერის საფეხურებიდან)**

ამას წინათ თბილისის ერთ-ერთ სკოლაში შევიარეთ. პიონერებმა თავიანთ ოთახში მიგვიწვიეს. დავსხედით, ვისაუბრეთ. იყო კამათი, მსჯელობა, და რაც მთავარია, სურვილი —უფრო უკეთ გავაკეთოთ, უკეთ ვიშრომოთ რაზმებში, რგოლებში, უკეთ ვიმეგობროთ პატარებთან. წამოსვლისას პიონერებმა ერთხელ კიდევ დაგვათვალიერებინეს პიონერთა ოთახი. მართლაც სანიმუშო რამ იყო. განსაკუთრებით ოქტომბრელთა სათამაშოების კუთხე. მაგრამ გული მაინც დაგვწყდა. რათაო?—შეშფოთებით იკითხეს ოქტომბრელებმა და მათმა მეგობრებმა. ვფიქრობთ, ეს ამბავი სხვა რაზმეულებსაც დააფიქრებს, რადგან მათ პიონერთა ოთახებშიც ნაკლებად მოიძებნება ქართული ხალხური სათამაშოები. ჰოდა, გადავწყვიტეთ ზოგიერთი ასეთი სათამაშო აქვე აგიწეროთ. თქვენც ნუ დააკლებთ შრომას—ისწავლეთ და ჩაიწერეთ სოფლებსა და ქალაქებში გავრცელებული სათამაშოები, რათა შემდეგში, თქვენს ხელმარჯვეთა კუთხეებში, გემების, თვითფრინავების და სხვა მოდელების გვერდით ქართულმა ხალხურმა სათამაშოებმაც იპოვონ ადგილი.




## ს ა შ ხ ა პ უ ნ ა

საშხაპუნა ბამბუკისაგან კეთდება, ოღონდ მისთვის საჭიროა მსხვილი ბამბუკი. ბამბუკს დაუტოვებთ ერთ ხრტილს, რომელსაც წვრილად გაუხვრეტთ თავს (ნახ.—ბ). დაამზადებთ „ზუმპას“, რომელიც ბამბუკის ღრუს შესაფერისი იქნება. მასაც უკეთდება სახელური. თავში დაეხვევა ჩვარი. ეს უკანასკნელი ძაფით დამაგრდება და „ზუმპაც“ სამოქმედოდ მზადაა (ნახ.—ა). „ზუმპას“ შეიტანთ ბამბუკის ღრუში ბოლომდე (ნახ.—გ). საშხაპუნას თავით ჩადებთ წყალში და „ზუმპას“ თქვენსკენ მოზიდავთ. ამ დროს წყალი ამოიტუმბება. როცა ბამბუკის ღრუ წყლით აივსება, საშხაპუნას ამოიღებთ წყლიდან, „ზუმპას“ წინ მიაწვებით და წყალი შორს გადაიღვრება წვრილ ნაკადად. საშხაპუნა ველოსიპედის ტუმბოს ჰგავს.




## ხ ე ლ თ ო ფ ა

ხელთოფა კეთდება ჩალის ღეროსაგანაც და ბამბუკისაგანაც. აიღებთ ჩალის ღეროს (ნახ.—ა), მუხლსა და მუხლს შორის გაუკეთებთ ღარს (ნახ.— ბ) ისე, რომ შიგ „ჩახმახი“ (ნახ.—გ) თავისუფლად მოძრაობდეს. „ჩახმახად“ გამოიყენებთ ტირიფის, თუთის ან სხვა რომელიმე ადვილად დრეკადი მცენარის წნელს. ამ წნელის წამახულ ბოლოს ჩაარჭობთ ჩალის ღეროს ბოლო მუხლს ქვემოთ, როგორც ნახატზეა ნაჩვენები. შემდეგ მოღუნავთ წნელს და ღარში მოუთავსებთ თავს ისე, რომ საჩვენებელი თითის მოდება შეიძლებოდეს (ნახატზე ესეც ჩანს). წინა ნაწილს აათლით ჩალის ღეროს, რათა ზედ კარგად მოთავსდეს გასასროლი ნივთი (ნაფოტი, ქვა ან თვით ჩალის ღეროს ანათალი), რომელსაც „ტყვია“ ეწოდება. ჩახმახს მოსწევთ საჩვენებელი თითით ბოლომდე და „ტყვიას“ ისე დადებთ, რომ მისი ნაწილი ჭრილისკენ ხვდებოდეს. ამის შემდეგ თითს შეუშვებთ „ჩახმახს“, რომელიც „ტყვიას“ მიეხლება და ეს უკანასკნელიც სივრცეში გაიტყორცნება.



## ს ა ტ კ ა ც უ ნ ა

მოჭერით ნედლი ჩალის ღერო. ზედა მუხლშორისის დაახლოებით მესამედი ჩაჭერით დანით ქვედა მუხლამდე. ტარით დაიჭირეთ ხელში სატკაცუნა. ამოძრავეთ ხელი წინ და უკან. შორისის მცირე ნაწილი სცილდება და ეხლება დიდ ნაწილს, რაც თავისებურ გამოძახილს (ტკაცუნს) იწვევს.

## ფ რ თ ა ს ო ბ ი ა

შეარჩიეთ ფრინველის რაც შეიძლება დიდი ფრთა, თავი დაუგოზეთ ლუქით, ფისით ან თაფლის სანთლით, შემდეგ ჩაარჭეთ შიგ თავწამახული წვრილი მავთული, გრამაფონის ნემსი, ქინძისთავი ან წვრილი ლურსმანი. ამნაირად დამზადებულ ფრთას თუ ზევით აისვრით, უეჭველად, თავით წამოვა და მიწაში ჩაერჭობა, ან იმ სხეულზე (კედელი, ჭერი, ხე...) მისობა, რომლისკენაც გაისვრით. ამ თვისების გამო შერქმევია სახელიც—ფრთასობია.





## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 4. გეგმა; 7. მუშათა კლასის მოწინავე რაზმი; 8. ჟურნალი; 10. მოსავლის აღების ერთ-ერთი სახე; 11. ცნობილი რევოლუციონერი; 13. სახოტბო ლექსი ან პოემა; 14. სპორტული ხერხი; 15. სპორტული ინვენტარი; 16. ცირკის გამოჩენილი მსახიობი; 18. ქალაქი ურალში; 21. ბეჭდვითი სიტყვა; 24. გულის დაავადება; 25. სიმკვრივის საზომი ხელსაწყო; 26. ინერტული გაზი; 27. რძის ნაწარმი; 28. თანხმობა, დასტური; 29. ქალაქი ესტონეთში; 30. თვითმფრინავის სახე; 32. მხარე ციმბირში; 33. კამფეტი; 34. ლომოურის მოთხრობა; 35. გერმანელი ფიზიკოსი; 36. ხილი; 37. ღვინის საწური; 41. ნელი ქარი; 42. სასწავლებელი; 43. გეომეტრიული ნაკვეთი; 46. განთიადი; 48. მცენარე; 50. ვ. ჰიუგოს მოთხრობა.

**ვერტიკალურად:** 1. თხელი საფარველი; 2. ტანსაცმელი; 3. მდინარეზე მიმოსვლის საშუალება; 5. სამჭედლო იარაღი; 6. საღებავი; 7. წვერვალი ანუ... 9. ქიმიური ელემენტი; 11. კონტინენტი; 12. სახელმწიფო აზიაში; 16. მათემატიკური ტერმინი; 17. მათემატიკის დარგი; 19. მოწინავე; 20. ტემპერატურის საზომი ერთეული; 21. შესახვედრად დათქმული დრო და ადგილი; 22. რაიმე საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიმღები, ენერგიულად მომქმედი; 23. ახირებული ზნით შეპყრობილი ადამიანი; 30. ქალაქი საქართველოში; 31. კუთხე საქართველოში; 38. საბავშვო ჟურნალი; 39. მცენარე; 41. მტაცებელი ფრინველი; 44. ხილი; 45. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 47. კამფეტი; 49. პარკოსანი მცენარე.



შეადგინა ახალციხის საშ. სკოლის IX კლ. მოსწ. ნ. დათებაშვილმა.

## გამოცანა

სახლზე დიდია და ციცქნა,
ციცინათელაზე პატარა,
ხალხმა გაჩენის დღიდანვე
საიდან სად არ ატარა.

სამ ადლზე დიდი კუდი აქვს,
იცინის სულელ ბავშვივით,
ზოგჯერ ზეცაში ჰკიდია
წითელ ალამად გაშლილი.

ყოველ დღე კვდება და მაინც
მისი სიკვდილი ძნელია,
ყველა სახლის და კარავის
მუდმივი მასპინძელია.

**მ. კახიძე**

## პასუხი ჟურნალ „პიონერის“ № 3-ში მოთავსებულ გასართობზე

### პასუხი „კროსვორდზე“

**ჰორიზონტალურად:** 1. ლუვრი; 3. კანიო: 5. პიარნუ; 7. ღუმელი; 10. იარდი; 11. ირემი; 13. საბო; 14. ოკა; 15. ბორი; 18. აკოლადა; 21. საზი; 22. არა; 23. „აიდა“; 26. ომეგა; 28. დიუმა; 30. იტალია; 31. ჩეპელი; 32. იფარი; 33. ირანი.

**ვერტიკალურად:** 1. ლელვი; 2. ისანი; 3. „კაენი“; 4. ოლეგი; 5. პიროსი; 6. ნუნუ; 8. უშბა; 9. „ივერია“; 12. ოკულარი; 16. სკა; 17. ოდა; 19. ასკეტი; 20. იარუსი; 24. აინი; 25. „ლილე“; 26. ოქუმი; 27. აბაზი; 28. დიენი; 29. ალაფი.

### პასუხი „შარადებზე“

1. სიმინდი. 2. შაშვი.

### პასუხი „გამოცანებზე“

1. მე ვარ 8 წლის, ჩემი ძმა—4-ის.

2. ერთ ბიჭუნას 2 მან. და 25 კაპ. აქვს, მეორეს—25 კაპ.

3. 1961.

4. პაპა, შვილი და შვილიშვილი.


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ — ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина, № 4. 1959. Тбилиси, пр. Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ 3—81—85.

უე 02011 ტირ. 15.000. ხელმოწერ. დასაბ. 24/III-59 წ. სტამბის შეკვ. № 169. გამომც. შეკვ. № 247. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

# ღიმილი







თაგვი ხომ არ ხარ, კატის რომ შეგეშინდა?!

თემა ი. ონაშვილისა



ნახ. ე. ამბოკაძისა

საჯარო ბიბლიოთეკა

6.126/108

# ახალი წიგნები




«საბლიტგამმა» უკანასკნელ ხანებში ბევრი საინტერესო წიგნი გამოსცა, რომელთაც გატაცებით კითხულობს ახალგაზრდობა.

აი, თუნდაც ე. ვოინიჩის ცნობილი რომანი «კრაზანა»... რამდენ ადამიანში გაუღვივებია ამ ნაწარმოებს უკეთილშობილესი მისწრაფება — მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა რევოლუციის საქმისათვის.

ახალგაზრდა მკითხველმა მშვენიერი საჩუქარი მიიღო ლადო ასათიანის ლექსების კრებულის სახით. ამ წიგნში შეტანილია საბავშვო ლექსები, რომლებიც გამოირჩევიან დიდი სითბოთი და სილაღით, ნორჩი თაობისადმი ავტორის გულწრფელი სიყვარულით.

ხალისით იკითხება დიდი გერმანელი მწერლის ჰ. ჰაინეს პოემა «ატა ტროლი», რუმინელი მწერლის მ. სადოვიანუს «ყვავილების კუნძული»; ი. ტაიცის მოთხრობების კრებული «წყარო»; ს. აინის «ბუხარა»; ვ. ვერზილინის «მოგზაურობა ოთახის მცენარეებთან ერთად».

მონღოლთა უსასტიკესი მხედართმთავრის, ბარბაროსი დამპყრობლის — ჩინგიზ-ხანის ბრძოლების შესახებ მოგვითხრობს ვ. იანი რომანში «ჩინგიზ-ხანი».

მრავალ საოცრებათა ქვეყნებში იმოგზაურებს ოცნებით ყველა, ვინც წაიკითხავს ინგლისელი მწერლის ჯონათან სვიფტის სათავგადასავლო რომანს — «გულივერის მოგზაურობას».

გამოვიდა ბავშვების საყვარელი საბჭოთა მწერლის — არკადი გაიდარის მოთხრობა «სკოლა».




